# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№112 (9792) 2024 წლის 30 სექტემბერი. ორშაბათი

ფასი 1 ლარი


## ეს ყველამ უნდა წაიკითხოს!

ბიძინა ივანიშვილი:

## პირდაპირ გეტყვით — 26 ოქტომბერს „ქართულ ოცნებას“ უნდა დავუჭიროთ მხარი!



26 ოქტომბერს, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, „ქართული ოცნების“ გუნდს გვაქვს მზაობა, რომ საჭირო მომენტში, ქვეყანა საკონსტიტუციო მოწყობის ისეთ მოდელზე გადავიყვანოთ, რომელიც საშუალებას მოგვცემს ავიხდინოთ ჩვენი მრავალწლიანი ოცნება — კვლავ ვიხილოთ ერთიანი და ძლიერი საქართველო!

2–3

ჭყონდიდელობა



დემურ გადელია

7

## ბერმუხა — ძლიერი ფესვებით!

## პუტინი ბირთვული იარაღით იმუქრება!



## სერგეი ლავროვი ცალყბად გვაიმედებს

6–8



ალექსანდრე დიდებულიძე



## წარმატებული მკვლევარი, ინოვაციური ინჟინერი

5



ვაჟა ნადირაშვილი

სახალხო მოძრაობა
საქართველოს აგრარული აღორძინებისათვის
People's Movement for Agrarian Revival of Georgia
№........ "......" ........ 2021



6

ხელისუფლების საყურადღებოდ:

## საქართველო ვაქციოთ განვითარებულ აგრარულ ინდუსტრიულ ქვეყნად!

კაცი, რომელსაც ენერგეტიკის დარგში მოღვაწეობის 45 წლის უწყვეტი სტაჟი აქვს!



9

## გუგული მაისურაძე



# ბიძინა ივანიშვილი:
# პირდაპირ გეტყვით — 26 ოქტომბერს „ქართულ ოცნებას" უნდა დაუჭიროთ მხარი!

## მწამს, რომ ერეკლე მეფის მაგინებლების ადგილი ჩვენს საზოგადოებაში არ არის!

**მოგესალმებით, კახელებო, გილოცავთ ალავერდობას!**

**მივესალმები თელავს, გურჯაანს, ახმეტას, ყვარელს, სიღნაღს, ლაგოდეხს, საგარეჯოს, დედოფლისწყაროს!**

მივესალმები აქ მცხოვრებ თუშებსა და ხევსურებს, მივესალმები პანკისელ ქისტებს, ჩვენს აზერბაიჯანელებს: ყარაჯალელებს, იორმუღანლოელებს, კაბალელებს; მივესალმები კახეთის მიწაზე მცხოვრებ ჩვენს სომხებს.

მოგესალმებით პატარა კახის, დიდი ერეკლეს შთამომავლებს, საქართველოს უანგარო პატრიოტებს!

კახეთი, ჩვენი ქვეყნის ეს დალოცვილი კუთხე, საქართველოს ძლიერების ერთ-ერთი მთავარი ფუნდამენტია. ასე იყო უწინაც, ასე არის ახლაც!

საუკუნეების განმავლობაში, ისტორიამ ჩვენი ქვეყნისთვის ბრძოლა გარგუნათ ბედად და თქვენც, პირნათლად ასრულებდით დაკისრებულ მოვალეობას, გმირულად იცავდით ჩვენს მიწა-წყალსა და სარწმუნოებას.

დღეს რომ საქართველო ცოცხალია და ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის, ამაში თქვენი ლომის წილია.

ისტორიულმა ქარტეხილებმა კახელებს მებრძოლი სული და უდრეკი ბუნება ჩამოგიყალიბათ, მაგრამ გენიალური ფიროსმანის პერსონაჟებივით ნათელ და ნამდვილ ადამიანებად დარჩით, კახური მრავალჟამიერივით ძარღვიან, ღირსეულ ქალებად და კაცებად!

**„მამული, ენა, სარწმუნოება — სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?"** — წერდა ჩვენი ერის მამა, ამ კუთხის შვილი, ილია ჭავჭავაძე. კაცი, რომელმაც მთელი სიცოცხლე საკუთარი ქვეყნისა და ხალხისათვის ბრძოლას და მათ კეთილდღეობას მიუძღვნა.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, ჩვენი სამშობლო და ხალხი მსგავსი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა დამოუკიდებლობის პირობებშიც, 2012 წლის 1 ოქტომბრამდე, როდესაც საქართველოს, ამ ქვეყნის შვილებისა და ყველაფერი ქართულის — ჩვენი ტრადიციების, ისტორიის, კულტურისა და რწმენის წინააღმდეგ, არც მეტი არც ნაკლები საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლება იბრძოდა. ხელისუფლება, რომელსაც, წესით, ეს ყველაფერი უნდა დაეცვა, თუმცა, უცხოელ პატრონებთან ერთად, ისინი პირიქით მოქმედებდნენ — ახალი ქართველის შექმნაზე მუშაობდნენ, ვისთვისაც უცხო იქნებოდა ის ეროვნული ფასეულობები, რომელზეც იზრდებოდნენ, იზრდებიან და მადლობა ღმერთს, მომავალშიც გაიზრდებიან ამ ქვეყნის შვილები.

**ამ პროცესის ნაწილი იყო ჩვენი იდენტობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორის — ვაზისა და ქართული ღვინის წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანია, თანაც სად?! ღვინის სამშობლოში, სადაც ღვინო საკრალური სასმელია. სადაც კახელმა კაცმა ურთულეს ვითარებაში, გაუთავებელი ომების ქარცეცხლში გამოატარა თავისი მთავარი განძი და ფასეულობა — ქართული ვაზი და ცივილიზაციას შემოუნახა ღვინის დაყენების უნიკალური მეთოდი, რომელიც დღეს იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი!**

თუკი კახელის და, ზოგადად, ქართველი ადამიანის შეურაცხყოფა და დამცირება გინდა, მისი იდენტობის ამ ერთ-ერთ მთავარ ნაწილს უხეშად უნდა შეეხო. ყველაზე კარგად ეს იმ ხალხმა იცის, ვინც დღეს კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის" სახეს წარმოადგენს და ქართული ღვინის წინააღმდეგ მიმართულ, შეურაცხმყოფელ კამპანიას დღესაც აგრძელებს.

შეუძლებელია, არ გავიხსენოთ ის შემზარავი დრო, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის" რეჟიმმა კახელი კაცი იძულებული გახადა, რომ შვილივით ნაზარდი ვაზი, ჩვენი ფესვი, ჩვენი სულიერი სიმტკიცის წყარო საკუთარი ხელით გაეჩეხა. აღა მაჰმად ხანის შემოსევებს გადარჩენილი კახელი ადამიანი ალბათ ვერასოდეს იფიქრებდა, რომ ქართული ვაზის თანამედროვე მტრად პასპორტით ქართველი, გონებით კი უსამშობლო „ნაციონალური მოძრაობა" მოევლინებოდა.

ღვინის სამშობლოში ამაზე უარესი თითქოს რაღა უნდა მომხდარიყო, რომ ქართველ კაცს, მითუმეტეს კახელს, ვაზის მოვლაზე აეღო ხელი, მაგრამ „ნაციონალურმა მოძრაობამ" გაცილებით უარესიც შეძლო — **ტერორითა და სიღარიბით დაძაბუნებულ ქვეყანას ომის უბედურება დაატეხა თავს.**

უბედურება, რაც 2008 წლის აგვისტოში დატრიალდა, სწორედ მათ სინდისზეა. სწორედ „ნაციონალური მოძრაობაა" პასუხისმგებელი ტრაგედიაზე, რაც ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლის და ტერიტორიების დაკარგვის ფასად დაგვიჯდა!

ამ ხალხმა ჯერ წაგებული ომი აზეიმა მოსახლეობას, შემდეგ კი ცნობილ რეზოლუციაზე ხელმოწერით და ტალიავინის დასკვნაზე დათანხმებით, საომარი მოქმედებების დაწყება თავად აღიარა! დღეს არც ერთი მათგანი არ ცდილობს სამშობლოს ღალატის უარყოფას, რადგან იმდენად ნათელია მათი ნამოქმედარი, რომ უტიფრობით ცნობილი ომის პარტიის წევრები თითქოს შეეგუენ საკუთარ ტერიტორიაზე ომის გაჩაღებაში მხილებას.

ამ დანაშაულის უგულებელყოფა და შესაბამისი რეაგირების გარეშე დატოვება შეუძლებელია. ჩვენი ქვეყანა ვერასოდეს გაიმართება წელში, თუ ამ ღალატს პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება არ მიეცემა. როგორც აღვნიშნე, პოლიტიკურად მათ უკვე გაიფორმეს ომის დაწყების დანაშაული ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, ხოლო როდესაც აღარ არსებობს არანაირი ხელისშემშლელი ფაქტორი საერთაშორისო სამართლებრივ ინსტიტუტებში, არჩევნებში გამარჯვებისა და საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემდეგ, მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობის პროცესი დაიწყება.

სწორედ ამიტომ, ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, რომ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ", საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს და დღის წესრიგში დააყენოს „ნაციონალური მოძრაობის" არაკონსტიტუციურად გამოცხადების, ამავდროულად კი უმკაცრესად გასამართლების საკითხი. პირობას გაძლევთ, რომ ამ პროცესს წინ ვერაფერი დაუდგება!

გარდა ამისა, ამ უსამშობლო ხალხმა ერთხელ და სამუდამოდ პასუხი უნდა აგოს წლების განმავლობაში ჩადენილ უმძიმეს დანაშაულებზე: საკუთარი მოქალაქეების წამებასა და მკვლელობაზე, ბიზნესის რეკეტზე, ქვეყანაში გამეფებულ კორუფციაზე. ქართველმა საზოგადოებამ უნდა მოიკვეთოს ეს პოლიტიკური სარკომა საკუთარი სხეულიდან, თუ გვინდა, რომ მოჯადოებულ, ჩაკეტილ წრეზე აღარ გავაგრძელოთ სიარული.

**დღეს ყველა თვალნათლივ ვხედავთ, რომ ეს რადიკალური ძალა, მის გარშემო გაერთიანებული პოლიტიკური, არასამთავრობო თუ მედია ორგანიზაციები უცხო ძალის ინტერესს ატარებენ და ცდილობენ, რომ საქართველო ომის უბედურებაში გახვიონ. შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში,2008 წლის აგვისტოს ომი მონაგონი იქნება. ჩვენი ქვეყნისადმი მტრულად განწყობილი ძალები, ადგილობრივი აგენტურის ხელით საქართველოს რუკიდან გაქრობას უპირებენ. ემზადებიან იმისათვის, რაც ვერც ერთმა დამპყრობელმა ვერ მოახერხა საუკუნეების მანძილზე!**

ამის პატიება როგორ შეიძლება?! როგორ შეიძლება ამაზე საკადრისი პასუხი არ მოვთხოვოთ ხალხს, რომელთა მთავარი მიზანი ხელისუფლებაში ნებისმიერ ფასად დაბრუნება და საქართველოს ომის ქარცეცხლში გახვევაა?! ჩვენი ხელისუფლება თავს იწონებს იმით, რომ დღეს კახელ გლეხს შრომა უფასდება და მის მოსავალს რისკებისგან ვაზღვევთ, რომ ყურძნის ფასი გავზარდეთ და გასაღების მოშლილი, ტრადიციული ბაზრები აღვადგინეთ, რომ მევენახეობისა და მეღვინეობის დარგის განვითარებაზე ვზრუნავთ და ამ მადლიან კუთხეში არცერთი გოჯი მიწა აღარ რჩება დაუმუშავებელი, რადგან ნიჭიერ, გამრჯე ხალხს საკუთარი შრომით ღირსეული შემოსავლის მიღების საშუალება მიეცათ. თავს ვიწონებთ იმით, რომ კახელი კაცი დღეს წელშია გამართული, რადგან იცის — სახელმწიფო უმაგრებს ზურგს და მისი შრომა ფასდება, მთელი რიგი შეღავათებითა და სახელმწიფო პროგრ-

**26 ოქტომბერს, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, „ქართული ოცნების" გუნდს გვაქვს მზაობა, რომ საჭირო მომენტში ქვეყანა საკონსტიტუციო მოწყობის ისეთ მოდელზე გადავიყვანოთ, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ავიხდინოთ ჩვენი მრავალწლიანი ოცნება — კვლავ ვიხილოთ ერთიანი და ძლიერი საქართველო!**





## სწორედ ერეკლე მეფის ღირსებისთვის, მისი სახელით უმკაცრესი პასუხი უნდა გასცეთ კოლექტიურ „ნაციონალურ მოძრაობას"!

## თელავი, 28 სექტემბერი

საქართველოს რესპუბლიკა

# შალვა პაპუაშვილი: 8000 წელი ღვინო იმისთვის არ გვიწურავს, რომ უსამშობლოებმა შეგვიბილწონ; 3000 წელი სახელმწიფო იმისთვის არ გვიშენებია, რომ გარედან გვმართონ; 1700 წელი პირჯვარი იმიტომ არ გვიწერია, რომ სხვა სალოცავისკენ მიგვატრიალონ!



**ქართველების ევროპული იდენტობა მისი უნიკალური კულტურის, მრავალი საუკუნის მანძილზე შესისხლხორცებული რწმენისა და სათუთად შემონახული ტრადიციებისგან შედგება, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონულ ღონისძიებაზე თელავში სიტყვით გამოსვლისას.**

მისი განცხადებით, თუ ამ ტრადიციებს „ერთ მათგანს მაინც გამოაცლი, ისე დაკარგავს თავის არსსა და სიდიადეს, როგორც ერთხმაგამოკლებული კახური მრავალჟამიერი“.

„ოპოზიცია სწორედ ამ გზას ადგას – ქვეყანას აცლის ეროვნულობას, ერს აცლის რწმენას და პიროვნებას აცლის იდენტობას. აღარ უნდა ვიცოდეთ, რას ნიშნავს ქართველობა, რას ნიშნავს მართლმადიდებლობა, რას ნიშნავს კაცობა და ქალობა. ამიტომ შეგვიგინეს ერეკლე მეფე, ამიტომ წაგვიბილწეს ღვინო, ამიტომ შეურაცხყვეს ჩვენი ეკლესია. ეს არის მათი ევროპული გზა. უნდათ, უღმერთო, უისტორიო, უპიროვნებო ადამიანთა ჯგუფად გვაქციონ, რომ მერე თავად გვითხრან, სად ვილოცოთ და რა დავიფიცოთ. ამას აკეთებდნენ ხელისუფლებაში ყოფნისას და ამას გვპირდებიან ძალაუფლების დაბრუნების შემთხვევაშიც. 26 ოქტომბერს, კახელებმა და საქართველოს ყველა კუთხის შვილებმა ჩვენი სათქმელი ხმამაღლა უნდა ვთქვათ და შინ და გარეთ ყველას უნდა გავაგონოთ, რომ 8000 წელი ღვინო იმისთვის არ გვიწურია, რომ უსამშობლოებმა შეგვიბილწონ; რომ 3000 წელი სახელმწიფო იმისთვის არ გვიშენებია, რომ გარედან გვმართონ; რომ 1700 წელი პირჯვარი იმიტომ არ გვიწერია, რომ ახლა სხვა სალოცავისკენ მიგვატრიალონ. ამიტომ 26 ოქტომბერს ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეთ და კიდევ ერთხელ ერთ ქართულ ლაშქრად უნდა შევიკრათ არა ხმლით, არამედ ხმით. იმ ხმით, რომელიც ჩვენი რწმენის, ჩვენი თვითმყოფადობის, ჩვენი იდენტობის ყველა მტრისთვის ავი მუსაიფი იქნება,“ – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

ევროკავშირთან დაახლოება უნდა იყოს არა მითითებების უსიტყვოდ შესრულება, არამედ ორმხრივი გზა ურთიერთშესწავლის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთმიღების და არა შერწყმის და ჩაკარგვის...“

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ქართველების ევროპული იდენტობა მისი უნიკალური კულტურის, მრავალი საუკუნის მანძილზე შესისხლხორცებული რწმენისა და სათუთად შემონახული ტრადიციებისგან შედგება.

**„საქართველო ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთი უპირველესი აკვანია. ჩვენ ვართ თანაშემოქმედები იმისა, რომ მიწათმოქმედება, მევენახეობა, ქრისტიანული რწმენა ევროპულ იდენტობაში ჩაიქსოვა. ამ დღეებში ჩვენ აღვნიშნეთ 400 წელი წმ. ქეთევან დედოფლის მარტვილობიდან, რომლის წმინდა ნაწილებიც ალავერდის მონასტერშია დაკრძალული. მისმა რწმენის სიმტკიცემ და პირველ ქრისტიანთა მსგავსმა მოწამეობრივმა აღსასრულმა მაშინდელი ევროპა იმდენად შეძრა, რომ, მართლმადიდებლობისთვის წამებული, კათოლიკური ეკლესიისთვისაც ქრისტიანობის მაგალითი გახდა. ასეთი ისტორიები არის მოწმე იმისა, რომ ჩვენ კი არ შევდიოდით ან გვიღებდნენ ევროპაში, არამედ, სხვებთან ერთად, თავად ვქმნიდით და ვიცავდით ევროპას. დღესაც ჩვენი ევროკავშირთან დაახლოება უნდა იყოს არა მითითებების უსიტყვოდ შესრულება, რომელსაც სამყაროში ვერგარკვეულ ქვეყანას წაუყენებ, არამედ ეს უნდა იყოს ორმხრივი გზა. გზა ურთიერთშესწავლის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთმიღების და არა შერწყმის და ჩაკარგვის. ქართველების ევროპული იდენტობა მისი უნიკალური კულტურის, მრავალი საუკუნის მანძილზე შესისხლხორცებული რწმენისა და სათუთად შემონახული ტრადიციებისგან შედგება. თუ მას ერთ მათგანს მაინც გამოაცლი, ისე დაკარგავს თავის არსსა და სიდიადეს, როგორც ერთხმაგამოკლებული კახური მრავალჟამიერი...“**

* * *

ტრადიციისამებრ, შეხვედრაზე შთამბეჭდავი სიტყვები წარმოთქვეს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ **ირაკლი ღარიბაშვილმა**, აღმასრულებელმა მდივანმა **მამუკა მდინარაძემ**, გენერალურმა მდივანმა **კახა კალაძემ**, „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა, პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ**, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა**.

შალვა პაპუაშვილის გამოსვლას აქვე გთავაზობთ.

ამებით კი მაქსიმალურად ვუწყობთ ხელს.

თავს ვიწონებთ იმით, რომ 2012 წლიდან მოყოლებული, კახეთმა ახალი სიცოცხლე შეიძინა; მოწესრიგდა და განვითარდა ინფრასტრუქტურა, ვაშენებთ საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალებს და აეროპორტს, რამაც ამ კუთხის საინვესტიციო და ტურისტული პოტენციალის ზრდას შეუწყო ხელი. უძველესი ისტორიის, კულტურისა და ულამაზესი ბუნების მქონე კახეთი საოცრად მიმზიდველი გახდა როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების მოქალაქეებისთვის და ამ კუთხის ტურისტული პოტენციალი არნახულად გაიზარდა.

რთვლის შემდეგ კახელები წლის მოსავალს ლოცავთ. ყოველივე ზემოთქმული, რაზეც ვისაუბრე, მათ შორის ის, რომ დღეს სახელმწიფოს ამოსავალი წერტილი ადამიანია, ის, რომ თქვენი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანია, ის, რომ ერთად ავაშენეთ ქვეყანა, რომელშიც დაცულია ადამიანის ყველა უფლება, აზრისა და სიტყვის თავისუფლება, გვაქვს გაჯანსაღებული სასამართლო, დამოუკიდებელი მედია, ხელშეუხებელი ბიზნესი და დემოკრატიაზე, სამართლის უზენაესობასა და ადამიანის ღირსების პატივისცემაზე დამყარებულ ქვეყანაში, თავისუფლად ვცხოვრობთ, სწორედ ის საშვილიშვილო მოსავალია, რომელსაც 2012 წლის 1 ოქტომბერს ერთად ჩავუყარეთ საფუძველი. მოსავალი, რომელსაც მოვუარეთ, ვზრდიდით და მის შედეგებს, კეთილდღეობისა და მშვიდობის სახით, დღეს საკუთარ თავზე ვიმკით.

ამ ყველაფერს ჩვენი შრომით, ერთად, მივაღწიეთ და რა თქმა უნდა, შეჩერებას არ ვაპირებთ!

მომავალშიც ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარება და კეთილდღეობა ყველა თქვენგანმა, საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ საკუთარ თავზე იგრძნოს, ამავდროულად კი საბოლოოდ დავასრულებთ სხვადასხვა, მათ შორის, უცხოური ძალების მიერ ჩვენი მოსახლეობისთვის ფსევდოღირებულებების თავს მოხვევის ძალადობრივ მცდელობებს, რაც ოჯახის, ეროვნულობის, რწმენის და საქართველოს სუვერენიტეტის წინააღმდეგაა მიმართული!

**დღეს ჩვენ ჩართულნი ვართ არა მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიაში, არამედ ბრძოლაში მშვიდობის, ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის, ჩვენი ტრადიციებისა და ფასეულობების დასაცავად, ამ ბრძოლის მთავარი ასპარეზი კი 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებია.**

ესაა ბრძოლა ჩვენი დიდი ხნის ნატვრის ასასრულებლადაც – კვლავ გაერთიანებული ვიხილოთ ჩვენი სამშობლო, თუმცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით, შერიგებისა და ურთიერთშენდობის საფუძველზეა შესაძლებელი!

ამ საკითხთან დაკავშირებით უცხო ქვეყნების აგენტებისა და კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ დამოკიდებულება ნათლად გვიჩვენებს მათ რეალურ მიზანს – საქართველო მუდმივი კონფლიქტისა და დაპირისპირების რეჟიმში იყოს. სწორედ ამიტომ, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის მზადება, პირველ რიგში, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებაზე გადის.

**26 ოქტომბერს საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, „ქართული ოცნების“ გუნდს გვაქვს მზაობა, რომ საჭირო მომენტში, ქვეყანა საკონსტიტუციო მოწყობის ისეთ მოდელზე გადავიყვანოთ, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ავიხდინოთ ჩვენი მრავალწლიანი ოცნება – კვლავ ვიხილოთ ერთიანი და ძლიერი საქართველო!**

დასასრულ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რასაც საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, აუცილებლად დავაყენებთ დღის წესრიგში – მზად ვართ გადავდგათ კონკრეტული ნაბიჯები მართლმადიდებელი ეკლესიის დაცვის და გაძლიერების მიმართულებით და მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი საქართველოს კონსტიტუციაშიც ავსახოთ!

თუმცა, ნურავინ იფიქრებს, რომ საქართველოს კონსტიტუციაში მართლმადიდებელი ეკლესიის როლის გამოკვეთით, რომელიმე რელიგიურ კონფესიას რაიმე ტიპის პრობლემა შეიძლება შეექმნას; პირიქით, ჩვენი ქვეყანა სწორედ იმით არის გამორჩეული, რომ სხვადასხვა აღმსარებლობის ხალხს ერთმანეთის რელიგიის უდიდესი პატივისცემა გვაქვს, სახელმწიფო კი თანაბრად ზრუნავს თითოეულ მოქალაქეზე, განურჩევლად მისი ეროვნებისა და აღმსარებლობისა. საქართველოში მოქმედი კონფესიების დაცვისა და თავისუფლების გარანტი, როგორც დღემდე, შემდგომშიც, რა თქმა უნდა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება იქნება!

**თქვენი, კახელების ხმა კოსმოსში ისმის და დარწმუნებული ვარ, ხმამაღლა გაისმება 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზეც, სადაც ქუდზე კაცი გამოხვალთ და უალტერნატივო არჩევანს გააკეთებთ: ომსა და მშვიდობას, ფსევდოლიბერალურ ღირებულებებსა და ეროვნულობაზე, ოჯახზე, რწმენასა და დამოუკიდებლობაზე დაფუძნებულ ფასეულობებს შორის, ჩვენი ქვეყნის ღირსეულ ევროპულ მომავალსა და იმ მიუღებელ მოცემულობას შორის, რაც რადიკალურ ოპოზიციას და უცხოელ აქტორებს ევროპულობად სურთ რომ გაასაღონ. კახელები პირდაპირი ხალხი ხართ, მიკიბულ-მოკიბული საუბარი არ გიყვართ, ამიტომ მეც პირდაპირ გეტყვით — 26 ოქტომბერს „ქართულ ოცნებას“ უნდა დაუჭიროთ მხარი! მწამს, რომ ერეკლე მეფის მაგინებლების ადგილი ჩვენს საზოგადოებაში არ არის. სწორედ ერეკლე მეფის ღირსებისთვის, მისი სახელით უმკაცრესი პასუხი უნდა გასცეთ კოლექტიურ „ნაციონალურ მოძრაობას“.**

**მხოლოდ მშვიდობით, მხოლოდ ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ! მრავალჟამიერ ისმოდეს ჩვენი კეთილი, უტეხი ხმა ჩვენს ქვეყანასა და მთელ მსოფლიოში!**

## ედიშერ გვენეტაძე:

# ეს ბანერებიც უნდა დარჩეს და დაემატოს სამეგრელოში აღმოჩენილი უმძიმესი ფაილებიც!



## რომელთა ნახვის შემდეგაც დიპლომატები ტირილით გადიოდნენ დარბაზიდან




**თბილისში გამოფენილმა „ქართული ოცნების“ საარჩევნო ბანერებმა წარწერით! – „არა ომს, აირჩიე მშვიდობა“! აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ერთნი იწონებენ „ოცნების“ ბანერებს და ითხოვენ მეტი დრამატიზებისთვის „ქართულმა ოცნებამ“ ის საშინელებაც ასახოს, რაც „ნაცებმა“ გამოგვატარეს, მეორენი კი „ოცნების“ ბანერებს პროპაგანდისტულად მიიჩნევენ.**

ბანერზე მარცხენა მხარეს გამოსახულია უკრაინის დონეცკის ოლქის სოფელ ბოგოროდიჩნეში დაბომბვის შედეგად განადგურებული ტაძარი, მარჯვნივ კი თბილისის სამების ტაძარი. ბანერების მარცხენა მხარეს შავ-თეთრი ფოტოებია, მარჯვენა მხარეს კი ფერადი ფოტო. კიდევ ერთ პლაკატზე მოჩანს მარცხნივ გამოსახული განადგურებული მარიუპოლის თეატრი, მარჯვნივ კი სენაკის თეატრი, რომელიც „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული „ქართუ ფონდის“ მიერაა რეაბილიტირებული.

**ოპოზიცია ამბობს, რომ ბანერებზე „ოცნებამ“ ამომრჩევლის დასაშინებლად დაბომბილი უკრაინის ფოტოები გამოსახა. პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ასკვნის, რომ ბანერები სამარცხვინოა და კგბ-ს სამჭედლოშია შესრულებული ამომრჩევლის დაშინების მიზნით.**

პრემიერი **ირაკლი კობახიძე** აცხადებს, რომ საზოგადოებამ კარგად უნდა გაიაზროს, რა არის ომის ფასი. მისივე თქმით, „უკრაინელები აქტიურად იყენებდნენ აფხაზეთის ომის კადრებს სხვადასხვა მიზნებისთვის, მათ შორის, იუმორისტული მიზნებისთვის, მაგრამ ეს სხვა საკითხია. დღეს ჩვენ საზოგადოებას ვახსენებთ იმას, თუ რა შედეგები მოჰყვება ომს ზოგადად და რა ავიცილეთ თავიდან ჩვენი ქვეყნისთვის“.

**მიხეილ ყაველაშვილის** თქმით, ზოგიერთები კითხულობენ, რა საჭიროა ამ ბანერებისა და ვიდეოკოლაჟის ჩვენება? „რას ჰქვია, რა საჭიროა! ჩვენს ზურგზე გადაიარა იმ მშვიდობის ფასმა, რაც დღეს ქვეყანაშია“.

პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გია ვოლსკი** ამბობს, რომ ზოგიერთები ცდილობენ, წარმოაჩინონ, თითქოს რაღაც ნიშნის მოგებაა ბანერებში. პირიქით, ეს არის უდიდესი ტრაგედია, ტკივილი იმ სისხლის გამო, რომელიც უკრაინაშია.

საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი **ირაკლი კირცხალია** აცხადებს, რომ, კი ბატონო, ბანერზე გამოტანილია მარიუპოლის თეატრი, რადგან არ გვინდა, ჩვენი ოპერის თეატრიც იყოს ამ დღეში. არ გვინდა, ის უბედურება დატრიალდეს, რაც უკრაინაში. მისი თქმით, ბანერი არის ჩვეულებრივი ლუსტრაცია, თუ რას ნიშნავს ომში ყოფნა და რა ავირიდეთ თავიდან.

**ბანერებთან დაკავშირებით სააკაშვილი პასუხს სთხოვს ბიძინა ივანიშვილს, „სად არის შენ მიერ განადგურებული ლაგუნა ვერეს პლაკატი, სად არის გავერანებული ანაკლია, რომელიც დაბომბილს ჰგავს?“**

* * *

**სწორად იყო თუ არა შერჩეული ბანერები „ქართული ოცნების“ მხრიდან?**

**ანალიტიკოსი ედიშერ გვენეტაძე** For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ეს საარჩევნო პერიოდია და საარჩევნო პერიოდში კანონი არ დარღვეულა. უფრო მეტიც, ადამიანთა გარკვეულმა რაოდენობამ, განსაკუთრებით, ახალგაზრდა თაობამ არ იცის, რა არის ომი. ამიტომაც შეაცდინეს ახალგაზრდა თაობის ნაწილი და ჩვენ გვახსოვს, 2022 წლის თებერვალსა და მარტში რანაირი აქციები ტარდებოდა. ფაქტობრივად, ამ აქციების მიზანი იყო საქართველო ჩაბმულიყო ომში. საბედნიეროდ, დღევანდელ ახალგაზრდობას ომი უნახავს მხოლოდ ფილმებსა და ომობანას თამაშის დროს. სინამდვილეში, ომი არის ის უბედურება, რომელიც ასახულია ბანერებზე და რომელიც ვიდეოებსა და სოციალურ ქსელებშია გავრცელებული.

„იმისთვის, რომ არ გამოიყენონ ლომჯარია-გიგაური-მელია-გვარამიას შარლატანებმა ახალგაზრდობის წინააღმდეგ ომის ამბები, რომლის გამოყენებაც მათ უნდათ და უნდათ წარმოაჩინონ, თითქოს ომის საფრთხე საქართველოსთვის არ არსებობს, სწორედ ამიტომ აბსოლუტურად გამართლებულად მიმაჩნია ამ პლაკატების გამოყენება. ძალიან კარგად გვახსოვს, უკრაინის დღევანდელი ხელისუფლება როგორ დასცინოდა საქართველოში მიმდინარე ომის ამბებს 2008 წლის აგვისტოში, კერძოდ, მათი დღევანდელი პრეზიდენტი და მთავარსარდალი. რატომ ერთი სიტყვა არ უთქვამს იმ პერიოდში ქალბატონ ზურაბიშვილს? ეს იმიტომ, რომ ჩვენი ოპოზიცია ხედავს, პირწმინდად აქვთ წაგებული ეს არჩევნები. ამიტომ ყოველ ღონეს ხმარობენ, ცხრა ტყავში ძვრებიან, რომ შეასრულონ თავიანთი პატრონების დავალებები. თუმცა მათი ოდისეა საქართველოში დამთავრებულია, დროა, გადაეწყონ მშვიდობიან ცხოვრებაზე, ან ჩაალაგონ თავიანთი ბარგი და ბარხანა, ვისაც არ უნდა საქართველოში მშვიდობა, აგერაა დასავლეთში ომი, შეუძლიათ წავიდნენ და იქ იომონ. სამხრეთშიცაა დიდი ომიანობა და დაძაბულობა. ჩვენ გვინდა მშვიდობა და გვაცალონ მშვიდობა. „ქართული ოცნების“ ეს პლაკატები და იდეოლოგია აბსოლუტურად გამართლებულად მიმაჩნია, რადგან ჩვენ წინ დგას ის ძალა, რომელიც არაფრით არ ჩამორჩება თურქ-სელჩუკებს, რომელიც საქართველოს დაემუქრა 1121 წლის 12 აგვისტოს“, – აღნიშნა ედიშერ გვენეტაძემ.

**მანვე განმარტა, რომ ეს პლაკატები აუცილებლად უნდა დარჩეს და დაემატოს კიდევ სხვა პლაკატებიც, კერძოდ, ვიდეოებში უნდა აჩვენონ, თუ ვინმეს შემორჩენილი აქვს, სამეგრელოში აღმოჩენილი კადრები, 27 000 ფაილი, ვის უღებდნენ, როგორ უღებდნენ და როგორ უბედურებებს აკეთებდნენ. ედიშერ გვენეტაძის თქმით, ძალიან კარგად გვახსოვს შინაგან საქმეთა სამინისტროში რომ უჩვენეს ეს ფილმი, უცხოეთის საელჩოების წარმომადგენლები და ელჩები ტირილით გამოდიოდნენ დარბაზიდან, ამას რას ვხედავთო?!**

„დღეს კი ადეიშვილს იძახებენ გაეროში, ასევე, გვარამიას უცხადებენ მხარდაჭერას, რომელიც იყო დანაშაულებრივი სისტემის ერთ-ერთი შემქმნელი, მედლებითა და ორდენებით აჯილდოებენ ეს ჩვენი პატივცემული ოკეანის გაღმელი და გამოღმელი დემოკრატები დამნაშავეებს. ამიტომ არ კმარა მარტო ომის კადრების ასახვა ბანერებზე, ამას კიდევ უნდა დაემატოს ის კადრები, სადაც „ნაციონალებმა“ უკადრებელი იკადრეს ადამიანობის მიმართ.

* * *

**ანალიტიკოსი ვახტანგ ძაბირაძე** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ „ქართული ოცნება“ პირველად არ ამზადებს პროპაგანდისტულ ბანერებს, მისი ნეგატიური საარჩევნო კამპანია მთელი 12 წელია, გრძელდება.

პოლიტოლოგი ამბობს, რომ პრეზიდენტის არჩევნების დროსაც იგივე ხდებოდა, როდესაც ფოტოები გამოქვეყნდა და ამ ფოტოებზე ასახულნი იყვნენ ოპოზიციურად განწყობილი პიროვნებები. იგივე მეორდება დღესაც, უბრალოდ, ახლა დაემატა უკრაინის განადგურებული ტერიტორია. ასეთი რამის გაკეთება არ შეიძლება, მით უმეტეს, ამ ბანერებზე გამოსახულნი არიან ადამიანები, რომლებსაც „ნაცმოძრაობასთან“ შეხება არ ჰქონიათ და ზოგიერთი მათგანი თავად იყო „ნაცების“ მსხვერპლი.

**„ასეთი კამპანიის წარმოება რას მოუტანს „ქართულ ოცნებას?“ ალბათ, ბევრს არაფერს. ელექტორალური თვალსაზრისით, ეს ბანერები „ქართული ოცნების“ ბაზას არ გააფართოებს. თუ ვინმეს რაიმე დანაშაული მიუძღვის „ნაცმოძრაობიდან“, ეს სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, თორემ ასე მოხვიო ხელი და მთელი ოპოზიცია „ნაციონალებად“ და ცხრაწლიან პერიოდზე პასუხისმგებლად გამოაცხადო, ეს არის ცილისწამება ამ ხალხის მიმართ. თუმცა ზოგიერთ მათგანს, ვინც ამ ბანერებზე მინახავს, ცხრაწლიან პერიოდში მართლაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა, ოღონდ ეს პასუხისმგებლობა უნდა აისახოს სამართლებრივი გზით და არა საარჩევნო პროპაგანდის ხაზით“**, – აღნიშნა ვახტანგ ძაბირაძემ.

**მანანა ნოზაძე**

---

## გია აბაშიძე:

### ე.წ. პრეზიდენტის უსაგნო პრეტენზიები ცესკოს მისამართით იმაზე უფრო იაფფასიანი გახდა, ვიდრე კოლექტიური ნინო ლომჯარიების!..

**ანალიტიკოსი გია აბაშიძე საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების გახსნასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებაზე ცესკოს გამოხმაურებას აფასებს.**

„ანტისახელმწიფოებრივი გარე დაკვეთების შემსრულებლებს, მათ შორის ე.წ.პრეზიდენტს, „ქვესტი“ აქვთ გამოცხადებული თუ ვინ უფრო მეტად, უარგუმენტოდ შეუტევს ცესკოს.

უსამშობლო სალომე ზურაბიშვილის ოფისი საარჩევნო ადმინისტრაციას ადანაშაულებს საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების შექმნისას „კანონმდებლობის დარღვევაში“. არგუმენტირებული ახსნა ვერ ექნება ანტიკონსტიტუციური ზურაბიშვილის ანტურაჟს, რადგან გარედან დაავალეს და იმიტომ!

26 სექტემბერს, კანონმდებლობასთან შესაბამისად, 42 ქვეყანაში 60 საარჩევნო უბანი შეიქმნა. უბანი შეიქმნა ყველგან, სადაც ამის კანონიერი საფუძველი არსებობდა.

ცესკოს მისამართით ე.წ. პრეზიდენტის უსაგნო პრეტენზიები იმაზე უფრო იაფფასიანი გახდა, ვიდრე კოლექტიური ნინო ლომჯარიების. მთავარია, შესრულდეს ინსტრუქცია აგენტოკრატიიდან ქართული სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ.

**რა ფუჭია დემოკრატიაზე მანქურთების შტური.“** – წერს გია აბაშიძე Facebook-ზე.

---

# მრავალეროვნული სამხედრო სწავლება – ETERNITY 2024 დასრულდა

**მრავალეროვნული სამეთაურო-საშტაბო სწავლება – ETERNITY 2024 დასრულდა. ღონისძიების ფარგლებში, ვაზიანის სასროლეთზე საჩვენებელი სწავლება გაიმართა, სადაც ქართველმა, აზერბაიჯანელმა და თურქმა სამხედროებმა საინჟინრო განაღმვის, მოწინააღმდეგეზე იერიშის, სამედიცინო ევაკუაციისა და სხვა ამოცანები შეასრულეს. საველე წვრთნებში შსს-ს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების ქვედანაყოფიც მონაწილეობდა.**



ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

მათი ცნობით, საჩვენებელი სწავლების შემდეგ, სტუმრებმა გადაინაცვლეს კრწანისის სიმულაციების, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების ცენტრში, სადაც საშტაბო კომპონენტს გაეცნენ და სწავლების შესახებ შემაჯამებელი ბრიფინგი მოისმინეს.

„დასკვნით ღონისძიებაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ პაატა პატიაშვილმა, თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა ირაკლი ჭიჭინაძემ, საქართველოში თურქეთის ელჩმა ალი ქაან ორბაიმ, ასევე, ორივე ქვეყნის მაღალი რანგის სამხედროებმა ETERNITY 2024-ის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს და სწავლების წარმატებით დასრულება მიულოცეს.

საერთაშორისო სწავლება ETERNITY 2024 თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდლობის ორგანიზებით ჩატარდა. სწავლების სცენარი სამშვიდობო ოპერაციებს ემყარება, რომელიც კრიზისული სიტუაციის დროს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოების დაცვას, ასევე აზერბაიჯანულ, თურქულ და ქართულ სამხედრო ქვედანაყოფებს შორის ურთიერთთავსებადობის ამაღლებას ითვალისწინებს“, – წერია გავრცელებულ ინფორმაციაში.

**აგრარული დარგის მეცნიერთა თაობათა აღმზრდელს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, აკადემიის მთავარ აკადემიკოს-მდივანსა და ამავე აკადემიის აგრარული ინოვაციების კომისიის თავმჯდომარეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ალექსანდრე დიდებულიძეს დაბადებიდან 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წელი შეუსრულდა.**

# წარმატებული მკვლევარი, ინოვაციური ინჟინერი



ალექსანდრე დიდებულიძე დაიბადა 1944 წლის 30 სექტემბერს ქალაქ თბილისში. საშუალო სკოლის 1961 წელს დამთავრების შემდეგ, მისაღები გამოცდები ჩააბარა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის ელექტრული მანქანებისა და აპარატების სპეციალობაზე. სწავლის პარალელურად 1961-1963 წლებში მუშაობდა ამწყობ ზეინკლად თბილისის ქარხანა „ელექტროძრავა“-ში. სტუდენტობის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებში, იყო სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე. 1966 წელს, ინჟინრის დიპლომის მიღების შემდეგ, დატოვებული იქნა ინსტიტუტის ელექტრული მანქანებისა და აპარატების კათედრის ასისტენტად. 1968-1972 წლებში სწავლობდა კონსტანტინე ამირეჯიბის სახელობის საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც 1974 წლამდე მუშაობა განაგრძო უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1974 წელს აკადემიკოს ვალერიან მეტრეველის სამეცნიერო ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1991 წელს – სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სპეციალური ელექტრიფიცირებული სატრანსპორტო-ტექნოლოგიური სისტემები სოფლის მეურნეობისათვის“.

1974 წელს არჩეული იქნა საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (ამჟამად აგრარული უნივერსიტეტი) უფროს მასწავლებლად, შემდეგ მუშაობდა იქვე ელექტროტექნიკისა და ელექტროამძრავის კათედრაზე დოცენტად, პროფესორად, 1989 წლიდან გახლდათ კათედრის გამგე, ხელმძღვანელობდა ლაბორატორიას სამთო სოფლის მეურნეობის ინსტიტუტში. 2008-2012 წლებში ბატონი ალექსანდრე იყო აგრარული უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო 2012-2022 წლებში – საკონტრაქტო პროფესორი. 2013-2023 წლებში აღმასრულებელ მდივნად მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ჯერ კომისიაში, ხოლო შემდეგ ცენტრში, რომლის ჩარჩოებში 120-მდე მეცნიერს მიეცა საშუალება, ფართო საზოგადოებისთვის გაეცნოთ თავისი მიღწევები. 2023 წლის ივლისში არჩეული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთავარ აკადემიკოს-მდივნად და იქვე მუშაობს დღემდე. 2019 წლიდან იგი ასევე ხელმძღვანელობს აკადემიის აგრარული ინოვაციების კომისიას.

**ალექსანდრე დიდებულიძე ეწევა აქტიურ სამეცნიერო-საორგანიზაციო მუშაობას. 1970-1975 წლებში იყო საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი და თავმჯდომარის მოადგილე, მონაწილეობდა ახალგაზრდა მეცნიერთა ბაკურიანის სემინარებისა და თბილისში ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის ორგანიზებაში; 1978-1988 წლებში იყო რეგიონთაშორისი სპეციალიზებული სადოქტორო საბჭოს სწავლული მდივანი. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩაერთო ახლადშექმნილი სტრუქტურების მუშაობაში, 2002 წლამდე იყო იუნესკოსა და ევროპის საბჭოს უმაღლესი განათლების საინფორმაციო ქსელის წარმომადგენელი საქართველოში, 1995-1997 წლებში – საქართველოს ბიბლიოთეკების განვითარების ფონდის დამფუძნებელი და დირექტორი, რომლის ძალისხმევით ამერიკის შეერთებული შტატებიდან ქვეყნის წამყვანი ბიბლიოთეკებისათვის ჩამოტანილი იქნა მეგობრების მიერ შეგროვილი 40 ათასზე მეტი უახლესი ინგლისურენოვანი სამეცნიერო წიგნი და ჟურნალი. 1997-2002 წლებში ა. დიდებულიძე იყო საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს წევრი და თავმჯდომარის მოადგილე, სანოსტრიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე; ამ დროს სხვადასხვა ქვეყანასთან დაიდო სამეცნიერო ხარისხების ურთიერთაღიარების შესახებ ათამდე ხელშეკრულება. 2004 წლის მარტიდან 2008 წლის თებერვლამდე მუშაობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველ მოადგილედ და საპარლამენტო მდივნად, კურირებდა საერთაშორისო კავშირებსა და საკანონმდებლო აქტების დამუშავებას. იმ პერიოდში მომზადდა საქართველოს კანონები: „უმაღლესი განათლების შესახებ“, „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ და სხვ.**

ალექსანდრე დიდებულიძეს გამოქვეყნებული აქვს 266 სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა შორის 11 მონოგრაფია და 9 სახელმძღვანელოა; მისი სამეცნიერო მოღვაწეობა 1995 წლამდე ძირითადად ეძღვნებოდა სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის და ელექტრომექანიკის საკითხებს, მიღებული აქვს 16 ქვეყნის: საქართველოს, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ინდოეთის, იტალიის, ბრაზილიის, ავსტრალიის, კანადის და სხვ. 43 პატენტი ან საავტორო მოწმობა გამოგონებებზე, რომელთაგან აღსანიშნავია მის მიერ პროფესორ რობიზონ ქსოვრელთან ერთად დამუშავებული კუთხით რხევითი ელექტრომაგნიტური ვიბრატორის რამდენიმე კონსტრუქცია; ამ ვიბრატორების დამზადება მოხდა ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანაში“. ალექსანდრე დიდებულიძე მონაწილეობდა ერთდროულად ელექტრომაგნიტური და მექანიკური რეზონანსების რეჟიმებში მომუშავე ენერგოეფექტიანი უკუქცევით-წინსვლითი ელექტრომაგნიტური ვიბრატორების დამუშავებაში. ის იყო ხიდური მიწათმოქმედების საკავშირო კომისიის მდივანი, ხოლო ელექტრიფიცირებული ხიდური აგრეგატი, რომლის ელექტრული ლილვის პრინციპზე მომუშავე ამძრავის შექმნას იგი ხელმძღვანელობდა, 1989-1991 წლებში ექსპლუატაციაში იმყოფებოდა მცხეთის სოფელ ქანდის მეურნეობაში.

აკად. ა. დიდებულიძე მონაწილეობდა ლაიფციგის (ორჯერ), ბუდაპეშტის, ხოშიმინისა და ბუქარესტის საერთაშორისო ბაზრობებში, სადაც მიმდინარეობდა მისი მონაწილეობით შექმნილი მანქანა-დანადგარების დემონსტრირება.

**1995 წლიდან ალექსანდრე დიდებულიძე პარალელურად გადაერთო საქართველოს სოფლის მდგრადი განვითარების პრობლემების კვლევებზე, დარგის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრასა და სტრატეგიული დოკუმენტების დამუშავებაზე. 1997 წელს ქართულ და ინგლისურ ენაზე გამოიცა მისი წიგნი: „სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები“, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორებს. იგი ასევე აქტიურად იყო ჩართული ეკორეგიონული კონსერვაციის გეგმების შედგენაში, სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის სამუშაოებში, საქართველოს მუნიციპალიტეტებისა და კონკრეტული სოფლების სივრცით-ტერიტორიული განვითარების ხედვების დადგენასა და საჭირო ღონისძიებების დაგეგმვაში, ზემოაღნიშნულის გარდა იგი იკვლევდა აგრობიოტექნოლოგიების კომერციალიზაციის მიმართულებებს, მთიანი რეგიონების განვითარების პრობლემებს და სხვ.**

აკადემიკოსი ა. დიდებულიძე 1995 წლიდან არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ხოლო 1997 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. იგი თანამშრომლობს მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, როგორებიცაა მსოფლიო ბანკი (**WB**), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (**FAO**) და მისი კოდექს ალიმენტარიუსის კომისია (**CAC**), გაეროს განვითარების პროგრამა (**UNDP**), გაეროს მეცნიერების, კულტურის და განათლების ორგანიზაცია (**UNESCO**), აშშ-ს ბიოლოგიური საფრთხეების შემცირების პროგრამა (**USA BTRP**) და საერთაშორისო განვითარების სააგენტო (**USAID**), **NATO**-ს პროგრამა „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ და ა.შ.

ბატონი ალექსანდრე მონაწილეობდა 30-მდე საგრანტო პროექტის და პროგრამის დამუშავებაში, რომელთა შორის აღსანიშნავია ევროპის საბჭოს პროექტი: „ევროპის მთები 2002: პირინეები – ალპები – კავკასია: მთიანი ზონის განვითარება“, რომელიც პირველად ჩატარდა აზერბაიჯანისა და სომხეთის კოლეგებთან ერთად და **USAID**-ის პროექტი: „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესტრუქტურიზაცია და სტრატეგია“ – (2001-2004 წლები), მან მოამზადა საექსპერტო დასკვნა თემაზე: „საქართველოს მეღვინეობის სექტორის მნიშვნელობის შეფასება“, რის შედეგად გერმანიის მთავრობამ დააფინანსა საქართველოში ღვინის ლაბორატორიის შექმნა.

აკად. ა. დიდებულიძე სალექციო კურსებს ატარებდა გერმანიის გისენის და ლუნებურგის უნივერსიტეტებში. იგი არის მეცნიერებათა დოქტორის და აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაცული ათამდე დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

1999 წელს მიღებული აქვს ღირსების ორდენი, საპატიო სიგელები, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სიგელი ქართველი ერის წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისთვის.

* * *

**ბატონო ალექსანდრე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად გილოცავთ ღირსეულ მამულიშვილს, აღიარებულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსსა და აკადემიის მთავარ აკადემიკოს-მდივანს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს დაბადების 80-ე, სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60-ე წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

# სახელოვანი მშენებელი, სწავლული, მწერალი

## ვაჟა ნადირაშვილი 85 წლისაა



**დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა საქართველოს დამსახურებულ მშენებელს, ფაზისის აკადემიის წევრს, ამავე აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსსა და საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს ვაჟა ნადირაშვილს.**

ბატონმა ვაჟამ გრძელი და საინტერესო შრომითი გზა განვლო ოსტატის თანამდებობიდან სამშენებლო კომპანიის გენერალურ დირექტორობამდე. მან უზომო ღვაწლი დასდო საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების ელექტრიფიკაციის განვითარების საქმეს.

მისი ხელმძღვანელობით აშენდა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი და საცხოვრებელი კორპუსები თბილისში, ინდივიდუალური სააგარაკე სახლები წყნეთში, საგურამოსა და სოფ. დიღომში, სასტუმრო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. შეკვეთილში, მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ეკლესია ქალაქ სამტრედიაში და სხვა.

საკუთარი ნიჭით და შრომითა ის რუდუნებით ემსახურებოდა საქართველოს აღმშენებლობას.

უაღრესად ნაყოფიერია ვაჟა ნადირაშვილის მოღვაწეობა ჩვენი საზოგადოების სასარგებლოდ. იგი გახლავთ საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საენციკლოპედიო-საგამომცემლო ფონდის თავმჯდომარე. მისი ხელმძღვანელობით ამ ფონდმა გამოსცა „საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედია“ (ორი ტომი). იგი ასევე დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს საგვარეულო მოძრაობის გამტკიცების საქმეში. ვაჟა ნადირაშვილი ბრძანდება საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობა“ გამგეობის თავმჯდომარე და ჟურნალ „გვარიშვილობა და ტრადიციის“ მთავარი რედაქტორი. მისი ხელმძღვანელობით გამოიცა პოპულარული წიგნი: „გვარსახელები საქართველოში“ (ენციკლოპედიური ცნობარი), ავტორია წიგნის: „თბილისი – იცი შენი ქალაქის ისტორია?“, „როგორ ვიზრდებოდით“, „თინათინ ბაღდავაძე“ (საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი), „ვახტანგ ჭეიშვილი“ (საქართველოს დამსახურებული აგრონომი, შრომის გმირი, სოფ. ლაითურის ჩაის მეურნეობა-ტექნიკუმის დირექტორი). მან ასევე რამდენიმე წიგნს ურედაქტორა და გამოსცა.

2024 წლის 22 სექტემბერს ფაზისის აკადემიამ ვაჟა ნადირაშვილს ამ დიდი ღვაწლის დაფასებისა და მისი 85 წლისთავის აღსანიშნავად საიუბილეო საღამო მიუძღვნა.

შეხვედრა გაიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში. მას გადაეცა ფაზისის აკადემიის ახალი საწევრო დიპლომი, მოწმობა და საპატიო სიგელი ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისთვის.

ფაზისის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ელგუჯა მგელაძემ წაიკითხა მოხსენება – „ვაჟა ნადირაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“.

მისალოცი სიტყვებით გამოვიდნენ ფაზისის აკადემიის წევრები, საქართველოს დამსახურებული მშენებელი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი მერაბ ნიკოლაიშვილი, მომღერალი ენრიკო ჯანელიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი გელა ყიფიანი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ოთარ შონია, იაშვილთა გვარის წინამძღოლი ნუგზარ (ზაზა) იაშვილი, საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობა“ დამფუძნებელი თენგიზ მაისურაძე, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი ნუნუ გრძელიშვილი, ნადირაშვილთა გვარის წარმომადგენელი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ოთარ ნადირაშვილი.

ფაზისის აკადემიის წევრები კიდევ ერთხელ ვულოცავთ ბატონ ვაჟას ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.

**გია კვაშილავა,**
**ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი**

# საქართველო ვაქციოთ განვითარებულ აგრარულ ინდუსტრიულ ქვეყნად!

## „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარეს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს; საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი კობახიძეს; „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

**კიდევ ერთხელ მოგმართავთ ა(ა)იპ სახალხო მოძრაობა – „საქართველოს აგრარული აღორძინებისათვის“ სახელით, გთავაზობთ კონსტრუქციული თანამშრომლობის ახალ ფორმატს, სადაც სოფლისა და სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის განვითარებისა და მასთან დაკავშირებული დარგების აღორძინების სტრატეგია წარმოდგენილი იქნება დღევანდელი გამოწვევების და რეალური მონაცემების შესაბამისად.**

ჩვენ არ ვართ ჩასათრებული და ერთმნიშვნელოვნად ოპონირების რეჟიმში მყოფი ორგანიზაცია, უფრო მეტიც, გვინდა თქვენი ხელმძღვანელობით სწორად შევაფასოთ არსებული ვითარება, გამოვყოთ პრიორიტეტები, შემოგთავაზოთ რესურსული კვლევის და კონკურენტული უპირატესობის დადგენის სამოქმედო მოდელი, დავიწყოთ დარგის ორგანიზაციულ-მმართველობითი და სისტემურ-სტრუქტურული რეფორმა, გადავიყვანოთ საქმიან-ფუნქციონალური პროცესი სრულიად ახალ ფაზაში და შევქმნათ შედეგზე ორიენტირებული მიზნობრივ-მოდელირებული პროგრამები, შესაბამისად დავასრულოთ ქვეყანაში არაეფექტიანი ფრაგმენტული პროტექციონიზმი, რომელიც, სამწუხაროდ, არასამთავრობო სექტორის კარნახით, მათ მიერ შედგენილი დღის წესრიგით მოძრაობს აგრარული დარგი.

ჩვენს ა(ა)იპ სახალხო მოძრაობის გამგეობაში გაერთიანებული სამი თაობის ღვაწლმოსილი მეცნიერ-პრაქტიკოსები (თერთმეტი აკადემიკოსი, თოთხმეტი მეცნიერებათა დოქტორი), ექსპერტები, მეწარმეები, რომლებიც მზად არიან, მხარი დაუჭირონ **„ქართულ ოცნებას“**, იმედია, თქვენი წინა საარჩევნო პროგრამის გამოცხადებამდე გაეცნობით და გაითვალისწინებთ ჩვენი სახალხო მოძრაობის მიერ „საქპატენტში“ დეპონირებულ პროგრამა-მოდელს (მოწმობა N8161, 24.09.2020), ახალ მთავარ პროგრამულ სლოგანს – **„საქართველო ვაქციოთ განვითარებულ აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად“!**

შედეგად ჩვენი მოსახლეობა თვითუზრუნველვყოთ ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციით და მნიშვნელოვნად გავზარდოთ ექსპორტი.



ბატონებო! გარწმუნებთ, რომ განსაკუთრებით სოფლად მოსახლეობა მმართველი გუნდის მხრიდან ელის ახალ ინიციატივებს და სიახლეებს. გვინდა, საქართველოსთვის ამ მძიმე ვითარებაში დავდგეთ ისტორიის სწორ მხარეს და მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ ქვეყნის ხელსაყრელი ბიოგეოაგროკლიმატური შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენებას, სოფლად სამუშაო ადგილების შექმნას, ინკლუზიური ეკონომიკის განვითარებას, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას და ჯანმრთელობის დაცვას, მიგრაციის შეჩერებას და მიგრაციაში მყოფი ჩვენი მოსახლეობის საკუთარ კერიაზე დაბრუნების სტიმულირებას. ჩვენ გვჯერა, ჩვენი პროგრამული ხედვები დამატებით სტიმულს მისცემს ფერმერულ საზოგადოებას.

ეს ჩამონათვალი არჩევნებში **„ქართული ოცნების“** გამარჯვების შანსებს საგრძნობლად გაზრდის, რაც მნიშვნელოვნად წაადგება ჩვენს ქვეყანას, მის მომავალს.

აგრარული აღორძინება საქართველოს იდენტობის შენარჩუნების ძირითადი პირობაა!!!

ვითხოვთ თქვენთან საქმიან შეხვედრას შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივით.

პატივისცემით
**მურმან ქურიძე,**
ა(ა)იპ სახალხო მოძრაობის თავმჯდომარე,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი;
მობ. 599 93 40 40. E-mail murman, kuridze@gmail.com

---

## ისტორიული სიმართლე

# საუკუნის შემდეგ: უტეხი სული!



**ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფუძნებულმა „ქართულმა ასოციაციამ“ ამ დღეებში ვაშინგტონის „კომუნიზმის მსხვერპლთა მემორიალურ მუზეუმში“ 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებას უმასპინძლა სახელწოდებით „უტეხი სული: 1924 წლის ქართველთა აჯანყებიდან ერთი საუკუნე“.**

„საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიასა“ და „ჰარვარდის დევისის ცენტრის ქართველოლოგიის პროგრამასთან“ თანამშრომლობით ჩატარებული ღონისძიება მიზნად ისახავდა საქართველოს უახლესი ისტორიის საკვანძო მოვლენის გახსენებასა და პატივის მიგებას იმ გმირებისთვის, რომლებმაც თავი შესწირეს ქვეყნის რუსეთისგან დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლას.

ღონისძიების ფარგლებში მოეწყო დოკუმენტური გამოფენა, რომელიც აჯანყებულთა ისტორიებს ეხებოდა. სიტყვით გამოვიდნენ ჰარვარდის უნივერსიტეტის დევისის ცენტრის ქართველოლოგიის პროგრამის დამფუძნებელი **სტივენ ჯონსი,** „საბჭოთა კვლევების ლაბორატორიის წარმომადგენლები **გიორგი კანდელაკი** და **ირაკლი ხვადაგიანი,** „მეხსიერების კვლევის ცენტრი კავკასიაში“ დირექტორი **მალხაზ თორია.**

მომხსენებლებმა ისაუბრეს საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლასა და დაუმორჩილებლობაზე საბჭოთა მმართველობის წინააღმდეგ, 1924 წლის აჯანყების წინაპირობებსა და მის შედეგებზე. დრო დაეთმო სტალინის კულტის ფენომენის განხილვასა და საბჭოთა მეხსიერების გავლენის ხაზგასმას საქართველოს დემოკრატიულ პროცესებზე.

ღონისძიებას ასზე მეტი ქართველი და ამერიკელი სტუმარი ესწრებოდა, მათ შორის აჯანყების მონაწილეთა შთამომავლები, აკადემიური სფეროსა და მედიის, ბიზნესისა და ანალიტიკური ცენტრების წარმომადგენლები. სტუმართა შორის იყვნენ CNN-ს გამოჩენილი ჟურნალისტი და საბჭოთა კავშირის მკვლევარი **დევიდ სეთერი;** სახელმწიფო დეპარტამენტის ევროპისა და ევრაზიის საკითხების დირექტორი **კრისტოფერ ანდერსონი;** ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი საქართველოში **კელი დეგნანი;** ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ევრაზიული, რუსული და აღმოსავლეთ ევროპული კვლევების ცენტრი (CERES) პროფესორი **ჯილ დოჰერთი** და სხვა.




საღამო დასრულდა სოხუმის დაცემის დღის ხსოვნის და უკრაინის ომისადმი მიძღვნილი მუსიკალური კომპოზიციების შესრულებით.

ბილეთების გაყიდვიდან შემოსული თანხის ნაწილი ვეტერანთა საქველმოქმედო ფონდს გადაეცემა.

---

# ორსახოვნება... ლავროვისა

## რუსეთი მზადაა, საქართველოს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ურთიერთობების ნორმალიზებაში დაეხმაროს

**„საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება უბრალოდ, სამართლიანად აფასებს წარსულს. მათ თქვეს, რომ „სურთ ისტორიული შერიგება“. თუმცა, რა სახით, რა ფორმით შეიძლება, მოხდეს ეს შერიგება – ეს თავად ქვეყნებმა უნდა გადაწყვიტონ, აფხაზეთმაც და სამხრეთ ოსეთმაც. ისინი საქართველოს მეზობლები არიან, იქ გარკვეული კონტაქტები მაინც გარდაუვალია. თუ ყველა მხარის ინტერესი იქნება ამ ურთიერთობების ნორმალიზებაში, თავდაუსხმელობის შეთანხმებების უზრუნველყოფაში, ჩვენ, მხარეების დაინტერესების შემთხვევაში, მზად ვიქნებით, დავეხმაროთ“, – აღნიშნა სერგეი ლავროვმა გაერო-ს გენერალური ასამბლეის 79-ე სესიის მაღალი დონის კვირეულის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე.**



## იგი გაეროს ტრიბუნიდან მთელ მსოფლიოს ემუქრება!

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ნიუ-იორკში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლისას „ატომური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვების მცდელობების შესახებ“ ისაუბრა.**

ლავროვმა გაიმეორა კრემლის პროპაგანდისტული თეზისი, რომ დასავლეთი, სავარაუდოდ, იყენებს უკრაინას, როგორც ინსტრუმენტს მოსკოვის სტრატეგიულად „დამარცხების“ მცდელობისთვის და „ევროპის მოსამზადებლად ამ სუიციდური თავგადასავლებში ჩასართავად“.

„აქ არ ვისაუბრებ იმ იდეის უაზრობაზე და საშიშროებაზე, როგორიცაა გამარჯვებამდე ბრძოლა ბირთვული სახელმწიფოს წინააღმდეგ, როგორიც არის რუსეთი“, – განაცხადა ლავროვმა.

სიტყვით გამოსვლის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ლავროვმა თქვა, რომ: „მიუხედავად იმისა, მიეცემა თუ არა უკრაინას შორ მანძილზე გამოყენების იარაღის მიწოდების ნებართვა, ჩვენ მივხვდებით, როგორ გაიგებენ ისინი, რაც მოისმინეს“.

# ჭყონდიდელობა – 2024

საქართველოს რესპუბლიკა



**25 სექტემბერს მარტვილში წმინდა მეფის დავით აღმაშენებლის აღმზრდელისა და წმინდა მღვდელმთავრის გიორგი ჭყონდიდელ – მწიგნობართუხუცესის ხსენების დღე „ჭყონდიდელობა" აღინიშნა.**

მარტვილის მერიის ცნობით, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერმა თორნიკე ჯანაშიამ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ნინო წილოსანმა, მარტვილის საკრებულოს თავმჯდომარესთან ლევან სურმავასთან, ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და მარტვილს დამეგობრებული ქალაქების დელეგაციებთან ერთად გიორგი ჭყონდიდელის ძეგლი ყვავილებით შეამკო.

**მარტვილის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში წირვა აღავლინა ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა მეუფე სტეფანემ.**

მარტვილის ცენტრში მთავარ სცენაზე ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით კონცერტი გაიმართა. მთელი დღის განმავლობაში მსურველებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დაეთვალიერებინათ კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევრები (პედაგოგი ამალია ჭილაია), ზაზა სხულუხიას ნახატების პერსონალური გამოფენა. ღონისძიებაზე წარმოაჩინეს ხელნაკეთი საყოფაცხოვრებო ნივთების გამოფენა, ადგილობრივი მეწარმეების მიერ წარმოებული ნატურალური პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა.

სასპორტო სკოლის ორგანიზებით ჩატარდა სპორტული ღონისძიებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში. საფეხბურთო სკოლის საწვრთნელ ბაზაზე სამოყვარულო ფეხბურთის ჩემპიონატი გაიმართა. მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების, საგანმანათლებლო რესურსცენტრის და სკოლამდელი დაწესებულებების ცენტრის წარმომადგენლებმა მეგრული ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული კუთხეები მოაწყვეს, სადაც დამთვალიერებელს მეგრული სამზარეულოს დაგემოვნება შეეძლო.

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერმა თორნიკე ჯანაშიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საპატიო მარტვილელის წოდება მიანიჭეს განსაკუთრებით გამორჩეულ 10 ღვაწლმოსილ მოქალაქეს.

აი, ისინი:

**შორენა ახვლედიანი** – პედაგოგი. 1985 წლიდან დღემდე ინჩხურის საჯარო სკოლის დირექტორი;

**მაყვალა გაღიშვილი** – პედაგოგი. 1977-2024 წლები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორი.

**ტარიელ ღვაბერიძე** – საქართველოს რკინიგზის თანამშრომელი სხვადასხვა პასუხსაგებ პოზიციაზე 1975-2003 წლებში, საქართველოს საპატიო რკინიგზელი. ღირსების ორდენოსანი.

**დემურ გადელია** – ინჟინერ-მექანიკოსი, მშენებელი. 1958-1995 წლებში მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. 2004 წლიდან დღემდე არის სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

**ფაუსტ ნადარაია** – მთარგმნელი, პოეტი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი. რაიონული გაზეთ „მარტვილის" რედაქტორი.

**ინეზა ჟვანია** – ფინანსისტ-ეკონომისტი, საკუთარი სახსრებით ააშენა დოშაყეს ადმინისტრაციულ ერთეულში იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის სახელობის ეკლესია.

**ივლიანე ნაჭყებია** – მათემატიკოსი. 1975 წლიდან დღემდე პედაგოგი სხვადასხვა სკოლაში. პედაგოგად მუშაობის 49-წლიანი გამოცდილებით.

**ვივინა ძიძიგური** – ბიოლოგი. პედაგოგი სხვადასხვა სკოლაში. განათლების განყოფილების მეთოდისტი. 1984 წლიდან დღემდე საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების მარტვილის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

**კარლო ბეჭვაია** – გზათა მიმოსვლის ინჟინერი. შპს „მარტვილავტოგზას" დირექტორი.

**გიორგი წივწივაძე** – 1972 წლიდან მოღვაწეობდა კულტურის სფეროში სხვადასხვა პოზიციაზე. რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი. ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „მაფშალია", ფოლკლორის სახალხო ანსამბლის „ჭყონდიდის" სოლისტი, სახალხო თეატრის მსახიობი. 2007 წლიდან დღემდე მუშაობს მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის შემოქმედებითი მიმართულების მენეჯერად.

ჭყონდიდელობის შთამბეჭდავი დღე კი ჯგუფი „რეგიონის" კონცერტით დასრულდა.

* * *

**გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" გულითადად ულოცავს აღიარებას 2024 წლის საპატიო მარტვილელებს და ბრძენი გიორგი ჭყონდიდელის გზით მშვიდობიან განვითარებას უსურვებს.**

**წლევანდელი მარტვილობა-ჭყონდიდელობის სასიამოვნო გამოძახილად კი დღეს გთავაზობთ მწერალ მურმან წოწორიას მცირე ჩანახატს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მზრუნველთა საბჭოს თანათავმჯდომარის, ცნობილი ქველმოქმედის და მშენებელი კაცის დემურ გადელიას შესახებ.**

**ის ერთადერთი მეცენატია საქართველოში, რომელსაც სამეგრელოს რეგიონში 30 ეგზემპლარი „საქ. რესპუბლიკა" აქვს გამოწერილი და თავის არქეოპოლისელებს აცნობს.**

**ღმერთმა მარჯვენა გიკურთხოს გონიერო და ღონიერო ჭყონდიდელო!**





2024 წლის 25 სექტემბერი მარტვილში

# ბერმუხა – ძლიერი ფესვებით!

## შტრიხები პორტრეტისათვის

**საგულისხმოდ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც თავის ბიოგრაფიას ქმნიან და (ხშირად უნებურად) ასევე ქვეყნის ისტორიას წერენ. უფრო სწორად მათი ნაღვაწი ქმნის ქვეყანას.**

სიტყვაკაზმულ ქართულში ასეთ ადამიანზე ამბობენ „მათ მხრებზე დგასო ქვეყანა".

დამიჯერებთ, ალბათ, და სწორედ ასეთი პიროვნებაა ბატონი დემურ გადელია, კაცი სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული, და კაცი, რომელმაც თავისი ბიოგრაფია ახალ საქართველოსთან ერთად შექმნა.

უფრო სწორად, წინა საუკუნიდან ახალში კაცურად გადმოსული და აქაც სიახლეების დამმკვიდრებელი და მაშენებელი.

მთელი სიცოცხლე ვადევნებ თვალს მის მოღვაწეობას.

ჭყონდიდელის ოდაბადეში, მარტვილის ულამაზესი სოფლის მრავალშვილიან ოჯახში დაბადებული პატარა ბიჭი ბედნიერებასა და წარმატებაზე ოცნებობდა.

ინჟინერი გახდა და ამ დღიდან დაიწყო მისი ოცნებების ახდენა.

ამ პატარა ბიჭმა შექმნა უდიდესი სამშენებლო იმპერია, რომელსაც, მგონი, საქართველოში ანალოგი არც ჰყავს.

საუკუნის დასასრულს, ძველ სენაკში, ტეხურის პირას, ერთი პატარა „ბუტკიდან" შექმნა გრანდიოზული სამშენებლო საწარმოები, რომლებიც 30 ჰექტარზე განფენილა და რომელსაც ქალაქში ქალაქს ეძახიან მნახველები.

ჩემს ცხოვრებაში პირველი სამსახურებრივი ნათლობა სწორედ მასთან მივიღე. ეს ის პერიოდი იყო, როცა უკვე იწყებოდა საბჭოთა კავშირის რღვევა.

გასაკვირი იყო ფრიად – მაშინ როცა თითქმის ყველა გამეცადინებული იყო, თავისთვის მოეთალა ეჩო და სახლში წაეღო რამე, ეს კაცი პირიქით აკეთებდა, ყველაფერი საწარმოში მოჰქონდა და რუდუნებით აკოწიწებდა საქმეს. მახსოვს, ზურგსუკან „გიჟსაც" ეძახდნენ, სწორედ ამ „გიჟმა" შეძლო დაემსახურებინა ხალხის სიყვარული, ორგზის აერჩიათ საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატად, გამხდარიყო ღირსების ორდენის ორგზის კავალერი და მიეღო წმინდა ნიკოლოზის ორდენი, გამხდარიყო ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

მისთვის „ნორმირებული" სამუშაო გრაფიკი არ არსებობს, დილის ექვსი საათიდან შუაღამემდე ტრიალებს, თვითონ არ ისვენებს და არც შენ მოგასვენებს. მისგან ვისწავლე დროის ყადრი, სამუშაოს შესრულების სიხარულით კმაყოფილების განცდა, მიღწევებით არდაკმაყოფილება, რაც მთავარია – გაჭირვებულთათვის ხელის გამართვა და მეგობრების ერთგულება.

იყო სენაკის, ზუგდიდის და მარტვილის საპატიო მოქალაქე ერთეულების ხვედრი და უდიდესი პატივია, თუმცა ვინც დემურ გადელიას იცნობს, ეს პატივი არ გაუკვირდება, რამეთუ ჩვენს თვალში იგი მთლიანად საქართველოს საპატიო მოქალაქეა.

მან თავის საწარმოსთან ერთად ბევრი რამ ააშენა, მაშინ, როცა ზოგიერთი არამზადა ანგრევდა, აპარტახებდა, ყიდდა ქვეყანას, დემურ გადელია აგებდა გზებს და აშენებდა თავის გუნდთან ერთად ლამის მთელ საქართველოს.

არასდროს დაუსვენია და ჩაუმუხლავს. ღმერთმა ნუ ქნას, ჩაიმუხლოს.

კოლხური გენის ულამაზესი ქართველი ვაჟკაცი, ბერმუხა – ძლიერი ფესვებით. ასე დავხატავდი მის პორტრეტს.

დემურ გადელიას ცხოვრება და მოღვაწეობა მაგალითი უნდა იყოს ჩვენი ახალგაზრდებისთვის.



**P.S.** ეს პატარა ჩანახატი ხელის ერთი მოსმით, ერთი ამოსუნთქვით შექმნილი შტრიხია იმ დიდი პორტრეტისა, რომელსაც ბატონი დემური იმსახურებს. სამადლობელის ერთი პატარა ბწკარი იმ ადამიანის მიმართ, ვისიც დიდი წვლილია იმაში, რომ დღეს მე მარტვილის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი ვარ და, რაც მთავარია, ვარ მწერალი.

რამდენი ჩემნაირი გაზარდა და გაუკვალა გზა მომავლისკენ.

გმადლობთ, ბატონო დემურ!

**მურმან წოწორია**

მარტვილი – თბილისი.

# პუტინი ბირთვული იარაღით იმუქრება,



## ნატო მესამე მსოფლიო ომისთვის გეგმებს ადგენს!..

**ვლადიმერ პუტინი კვლავ ბირთვული იარაღით იმუქრება. რუსეთის პრეზიდენტმა უსაფრთხოების საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ რუსეთი იტოვებს უფლებას, აგრესიის შემთხვევაში გამოიყენოს ბირთვული იარაღი, მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ მტერი კრიტიკულ საფრთხეს შექმნის ჩვეულებრივი იარაღის გამოყენებით.**

**„რუსეთი ბირთვულ იარაღს, ასევე, გამოიყენებს ბელარუსის წინააღმდეგ აგრესიის შემთხვევაშიც“!..**

**რუსი დიქტატორის თქმით, ბირთვული ტრიადა რჩება რუსეთისა და მისი მოქალაქეების ყველაზე მნიშვნელოვან უსაფრთხოების გარანტად და მსოფლიოში სტრატეგიული პარიტეტისა და ძალთა ბალანსის შენარჩუნების ინსტრუმენტად.**

პუტინმა ახსენა სტრატეგიული ან ტაქტიკური თვითმფრინავები, ფრთოსანი რაკეტები, უპილოტო თვითმფრინავები (დრონები), ჰიპერბგერითი რაკეტები და სხვა ფრთოსანი აპარატები. რუსეთის მხრიდან ბირთვულ რეაგირებას გამოიწვევს ასევე სარწმუნო ინფორმაცია რუსეთზე საჰაერო-კოსმოსური საშუალებებით თავდასხმის დაწყების შესახებ.

მანამდე ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ პირველი განცხადება დმიტრი მედვედევმა გააკეთა. რუსეთის ყოფილმა პრეზიდენტმა, რომელიც ამჟამად რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა, 14 სექტემბერს განაცხადა, რომ კიევი „რუხ გამდნარ წერტილად“ შეიძლება იქცეს, თუკი შესუსტდება აკრძალვები უკრაინის მიერ დასავლური იარაღის გამოყენებაზე.

ადრე რუსეთის ბირთვული დოქტრინა ნებას იძლეოდა, ბირთვული პასუხი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაცემულიყო, თუ მოწინააღმდეგე რუსეთს პირდაპირ დაარტყამდა ბირთვული იარაღით. უკრაინას ამჟამად ბირთვული რაკეტები არ აქვს.

მართალია, რუსეთის პრეზიდენტს უკრაინა არ დაუსახელებია, მაგრამ აშკარაა, რომ გაფრთხილების ადრესატია ვოლოდიმირ ზელენსკი, რომელიც აშშ-ში იმყოფებოდა და ქვეყნის ხელმძღვანელებთან, კერძოდ – ჯო ბაიდენთან მოლაპარაკებისას განზრახული ჰქონდა, ეთხოვა შორი მოქმედების რადიუსის მქონე ამერიკული წარმოების რაკეტების გამოყენება რუსეთის წინააღმდეგ.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა კირ სტარმერმა, თავის მხრივ, გარკვეული ზეწოლა მოახდინა ჯო ბაიდენზე, როცა თვითონ ნება დართო უკრაინას, ბრიტანული **Storm Shadow**-ის ტიპის რაკეტები უკრაინას გამოეყენებინა არა მარტო ოკუპირებულ ყირიმში განლაგებული რუსული სამხედრო სამიზნეების დასაბომბად, არამედ – უშუალოდ რუსეთის ტერიტორიაზე განლაგებული ობიექტების წინააღმდეგაც.

სხვათა შორის, ვლადიმერ პუტინმა ისიც განაცხადა, რომ თუ კიევი მართლაც ისარგებლებს ბრიტანეთის მიერ მიცემული ნებართვით, კრემლი ასეთ ნაბიჯს ნატოს მხრიდან გადადგმულ მტრულ ნაბიჯად – რუსეთზე თავდასხმად ჩათვლის. ეს კრემლის სხვა ჩინოვნიკებმაც დაადასტურეს: ასეთ ვითარებაში რუსეთს შეუძლია (დიდი ბრიტანეთის მიმართ), საპასუხო ბირთვული დარტყმა განახორციელოს.

**ასევე, ითვლება, რომ ჩინეთმა, კრემლის ყველაზე მნიშვნელოვანმა პარტნიორმა, მოსკოვს განუცხადა, რომ ვერ მოითმენს და ძალზე ნეგატიურად აღიქვამს რუსეთის მიერ განხორციელებულ სავარაუდო ბირთვულ დარტყმას, ამიტომაც პუტინი დიდწილად ანგარიშს ჩინეთს უწევს. როგორი იქნება ახლა ჩინეთის ოფიციალური პოზიცია, ჯერ უცნობია.**

* * *

**ნატო** რუსეთთან შესაძლო ომის შემთხვევისთვის საბრძოლო ხაზიდან დაჭრილთა ევაკუაციის გეგმას ამზადებს. „პროგნოზების მიხედვით, ომი ფართო საბრძოლო ველზე გაიშლება და ნატოს მნიშვნელოვანი დანაკარგი ექნება“, – განაცხადა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ლოჯისტიკის სარდლობის ხელმძღვანელმა, გენერალ-ლეიტენანტმა ალექსანდრ ზოლფრანკმა „დეილი მეილთან“ ინტერვიუში.

გენერალმა აღნიშნა, რომ რუსეთის საჰაერო ძალების ფართო შესაძლებლობების გამო, დაჭრილთა თვითმფრინავებით ევაკუაცია შეიძლება, ძალიან სახიფათო იყოს, ამიტომ უმჯობესია სანიტარული მატარებლების გამოყენება.

„ყველაზე უარეს შემთხვევაში ჩვენი ამოცანა იქნება დიდი რაოდენობით დაზარალებულების ოპერატიული და ხარისხიანი დახმარებით უზრუნველყოფა“, – განაცხადა მან.

ზოლფრანკმა ასევე ხაზი გაუსვა ნატო-ს სამედიცინო წესების უნიფიკაციის მნიშვნელობას. მისივე თქმით, გამოსავალი ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს „სამხედრო-სამედიცინო შენგენის“ შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს პრეპარატების, მათ შორის მძიმე დაზიანებებისთვის საჭირო ტკივილგამაყუჩებლების, თავისუფალ გადატანას.

„დეილი მეილის“ ცნობით, სამედიცინო ევაკუაციის გეგმა რუსეთთან შესაძლო ომისთვის სამზადისის მხოლოდ ერთი ელემენტია.

გამოცემა ასევე აღნიშნავს, რომ 22 იანვრიდან 31 მაისამდე ნატომ უდიდესი სწავლება ჩაატარა, რომელშიც 90 000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა. ეს მანევრები ასევე იყო რუსეთის აგრესიისთვის მზადების ნაწილი და მოიცავდა ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, გერმანია, უნგრეთი, საბერძნეთი, პოლონეთი, ფინეთი, შვედეთი და სხვა.

**იანვარში გერმანიის თავდაცვის მინისტრმა ბორის პისტორიუსმა განაცხადა, რომ დასავლეთის ქვეყნები მომდევნო სამი-ხუთი წლის განმავლობაში აქტიურად უნდა მოემზადონ რუსეთთან შესაძლო ომისთვის და ეს დრო „ინტენსიური შეიარაღებისთვის“ გამოიყენონ.**

**აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (CIA-ის) ხელმძღვანელმა უილიამ ბარნსმა აღნიშნა, რომ „ძნელი სათქმელია“, პუტინის მუქარა უკრაინაში ბირთვული იარაღის გამოყენებაზე ბლეფია თუ არა.**

ბარნსის განმარტებით, CIA-ის ინფორმაციით, არ არსებობს სათანადო მტკიცებულებები, რომ რუსეთი აპირებს ბირთვული იარაღის გამოყენებას. თუმცა, მისი თქმით, ნებისმიერ შემთხვევაში, აშშ-ს ოფიციალური პირები ამ საკითხს სერიოზულად უნდა მოეკიდონ.

### პუტინის მუქარა — რეალობა თუ ბლეფი

**სამხედრო ჟურნალ „არსენალის“** მთავარი რედაქტორი **ირაკლი ალადაშვილი** for.ge-სთან ამბობს, რომ, რაც უკრაინაში ომი დაიწყო, მას შემდეგ ვლადიმერ პუტინი ბირთვული იარაღის გამოყენებაზე შანტაჟს პერიოდულად ანახლებს. ალადაშვილი ფიქრობს, რომ ახლა ომში საკმაოდ რთული სიტუაციაა და პუტინს ამ ომის რუსეთის ტერიტორიაზე გადატანის შიში აქვს. თუკი დასავლეთის ქვეყნები ზელენსკის იარაღის გამოყენების უფლებას რუსეთის ტერიტორიაზე მისცემენ, მაშინ ომთან დაკავშირებით სრულიად სხვა რეალობას მივიღებთ. ამიტომაც მან ისევ ბირთვული იარაღით შანტაჟი დაიწყო.

* * *

„ბირთვული იარაღის გამოყენება ასეთი ადვილი და ხელმისაწვდომი არ არის, მით უმეტეს ეს ყველაზე კარგად ვლადიმერ პუტინმა იცის. იცის, რომ ბირთვული იარაღის მქონე სხვა დიდი სახელმწიფოები ამის უფლებას არ მისცემენ, საუბარია ჩინეთზე, ინდოეთზე, ამერიკაზე, დიდ ბრიტანეთზე. განსაკუთრებით ჩინეთთან დაკავშირებით პუტინს სხვა სენტიმენტები და ანგარიშები აქვს. პირად საუბრებშიც არაერთხელ უთხრეს ჩინეთის და ინდოეთის ლიდერებმა, რომ მან ეს ნაბიჯი არ უნდა გადადგას და უხსნიან, ამ ყველაფერს თავად რუსეთისთვის რა მოჰყვება. პუტინი გიჟი არაა და მან კარგად იცის, ეს რასაც ნიშნავს. ეგ კი არა, უკრაინის ტერიტორიაზეც ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენებასაც ვერ გაბედავს, რადგან ადეკვატურ პასუხს მიიღებს. ასევე, მის ქვეყანასაც და იქ განლაგებულ რუსულ ჯარსაც საფრთხე დაემუქრება. ახლა პუტინი არის საკმაოდ მძიმე რეალობის წინაშე. მან კარგად იცის, რომ თუკი ზელენსკი დასავლური იარაღის რუსეთის ტერიტორიაზე გამოყენების უფლებას მიიღებს, შესაძლოა, ომის რეალობა რადიკალურად შეიცვალოს. ამიტომ ის იყენებს იმ მუქარას, რითაც ჰგონია, რომ დასავლეთს შეაშინებს. თუმცა ბოლომდე ამაზე წამსვლელი მაინც არ არის, რადგან ასევე რუსეთში არიან ადამიანები, რომლებიც ამის რისკებს ათვითცნობიერებენ და ბირთვული იარაღის გამოყენება, რუსეთისთვის განაჩენის გამოტანის ტოლფასიც იქნება“, – ამბობს ალადაშვილი.

რაც შეეხება ნატოს წვრთნებს და მზადებას მესამე მსოფლიო ომისთვის, ალადაშვილი მიიჩნევს, რომ მსგავსი წვრთნები გასაკვირი არ არის, მით უმეტეს მაშინ, როცა პუტინი მუდმივად ბირთვული იარაღით და ნატოზე თავდასხმით იმუქრება.

**„რა თქმა უნდა, ასეთი მზადება ყოველთვის ხდებოდა და ნებისმიერ ქვეყანას აქვს გეგმა, თავდასხმის შემთხვევაში როგორ მოქმედებს. ასეთი გეგმა აქვს ასევე საქართველოს, ჩინეთს, ევროპულ ქვეყნებს და ა.შ. თუმცა დაგეთანხმებით იმაში, რომ ალბათ, დიდი ხანია, 90 000 ჯარისკაცს ნატოს წვრთნებში მონაწილეობა არ მიუღია. კი ბატონო, რისკები გაზრდილია, საფრთხე რეალურია და რუსეთის აგრესიის ფონზე ყველაფერია მოსალოდნელი. ამიტომ ეს ვარჯიშიც ლოგიკურია იმ ვითარებიდან გამომდინარე, რაც ახლა მსოფლიოში ხდება“, – ამბობს ალადაშვილი.**

**ლიკა ბერიკაშვილი**

# ომი ცუდად მიდის. უკრაინამ და მისმა მოკავშირეებმა კურსი უნდა შეცვალონ

**უკრაინამ და მისმა მოკავშირეებმა გამარჯვების სურვილის არსებობის შემთხვევაში, საკუთარი მარცხი უნდა აღიარონ. სტატიას ამ შინაარსით The Economist-ი ავრცელებს.**

გამოცემის მტკიცებით, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რუსეთი და უკრაინა ომს გამოფიტვაზე აწარმოებენ. რუსეთი უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში წინ მიიწევს, ხოლო თავად უკრაინა ომში მოკლულებს, დაჭრილებს და ნგრევის შედეგებს ითვლის.

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ამ კვირას აშშ-ში ჩავიდა, ამერიკის პრეზიდენტს ჯო ბაიდენს შეხვდა და გამარჯვების გეგმა გააცნო. როგორც მრავალი ადამიანი ვარაუდობდა, ახალი გეგმა შეიცავს მოწოდებებს მეტი იარაღისა და ფულის გამოყოფისკენ. სინამდვილეში უკრაინას რაღაც უფრო ამბიციური სჭირდება: **კურსის სასწრაფო ცვლილება.**



**The Economist**-ი აღნიშნავს, რომ ბოლო ცნობებით, რუსეთის დანაკარგები დღეში დაახლოებით 1 200 მოკლული და დაჭრილი ჯარისკაცია. საერთო ჯამში მათ 500 ათასი ადამიანი დაკარგეს. თუმცა, უკრაინა, რომელიც რუსეთზე ხუთჯერ პატარაა, ასევე განიცდის დიდ დანაკარგებს. მისი თავდაცვითი ზღუდეები შესაძლოა მოიშალოს, სანამ რუსეთის სამხედრო ძალა საკუთარ პოტენციალს ამოწურავს.

უკრაინას აგრეთვე პრობლემები აქვს ელექტროენერგიით მომარაგებისა და ჯარში მობილიზაციის კუთხით. როგორც **The Economist**-ი წერს, უკრაინას სამხედრო დახმარება და უსაფრთხოების გარანტიები სჭირდება. მას რუსეთის ნებისმიერი შეტევის მოგერიება უნდა შეეძლოს, რათა მოსკოვს სამხედრო მოქმედებების უპერსპექტივობა დაანახვოს.

გარდა ამისა, უკრაინას საკუთარი სამხედრო მრეწველობის განვითარება სჭირდება და ამ საქმეში მას მხარდაჭერა სხვა ქვეყნებმა უნდა გამოუცხადონ. ნატოში წევრობასაც შეუძლია უკრაინისთვის დამატებითი უსაფრთხოების გარანტიების მიცემა.

ომის გაგრძელებამ შესაძლოა მოსახლეობის რადიკალიზაცია და რუსეთთან მიმართებაში მტრული განწყობების გაძლიერება გამოიწვიოს. დასავლეთმა უკრაინას ახალი გეგმები უნდა შესთავაზოს. გამოცემა ვარაუდობს, რომ, თუ ეს ყველაფერი არ გაკეთდება, უკრაინა და მთელი მსოფლიო დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.



კაცი, რომელსაც ენერგეტიკის დარგში მოღვაწეობის 45 წლის უწყვეტი სტაჟი აქვს!

# ღირსეული მამულიშვილი

## გუგული მაისურაძე 91 წლისაა!

**სრულიად საქართველოს მაისურაძეთა საგვარეულო კავშირი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირი, ენერგეტიკის აკადემია, ენერგეტიკულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი გულითადად ულოცავენ ბატონ გუგული მაისურაძეს დაბადებიდან 91 და ენერგეტიკის დარგში მუშაობის 45 წელს!**

ბატონი გუგული დაიბადა 1933 წლის 1 ოქტომბერს თბილისში, ოფიცრისა და ექიმის ოჯახში. მამა – თევდორე მაისურაძე მეორე მსოფლიოს ომის მონაწილე ოფიცერი იყო, დედა – ნადია ნანდოშვილი – ექიმი პედიატრი.

1952 წელს გუგული მაისურაძემ თბილისის 42-ე ვაჟთა სკოლა ვერცხლის მედლით დაამთავრა.

1952-53 წლებში სწავლობდა მოსკოვის არტილერიის საინჟინრო აკადემიაში ბალისტიკური რაკეტების ფაკულტეტზე.

1954-1959 წლებში სწავლობდა და დაამთავრა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი სპეციალობით – ელექტრული ტრანსპორტი.

1959-1963 წლებში მუშაობდა საკავშირო ტრესტ ტრანსელექტრომონტაჟში ოსტატად, ინჟინრად. 1963-1969 წლებში იყო ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროფიკაციის საგზაო ელექტროტექნიკური ლაბორატორიის ელექტრომექანიკოსი, შემდეგ – უფროსი ინჟინერი. 1969-1978 წლებში მოღვაწეობდა ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტრიფიკაციის და ენერგეტიკული მეურნეობის სამსახურის მთავარ ინჟინრად, შემდეგ – უფროსად. 1983-1988 წლებში იყო ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილე საგზაო უსაფრთხოების დარგში, შემდეგ ტექნიკური განყოფილების უფროსი, გზის უფროსის მოადგილე.

1993-1998 წლებში იყო საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

1998 წლიდან არის საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

გუგული მაისურაძე არის საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, საკავშირო მნიშვნელობის საპატიო რკინიგზელი, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, მრავალი მედლით და სიგელით.

**მისი ინიციატივით და პირადი ხელმძღვანელობით თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანაში აშენდა პირველი ქართული ოთხღერძიანი საგზაო ელმავალი.**

**ამ უნიკალურმა გამოგონებამ მაშინ სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.**

**გუგული მაღრაძე არის აგრეთვე სხვა მრავალი გამოგონების ავტორი, რომლებიც დაინერგა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების და ოლქების ტერიტორიებზე.**

**აღსანიშნავია, რომ ბატონი გუგულის თაოსნობით და დიდი ძალისხმევით აშენდა თბილისში „ლოკომოტივის“ საფეხბურთო მოედანი.**

1998 წლიდან დღემდე იგი არის მაისურაძეთა საგვარეულო მოძრაობის აქტიური მონაწილე და ამ კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

ამავე წელს, კავშირის პირველ ყრილობაზე, ბატონი გუგული არჩეული იყო გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ და ამ თანამდებობაზე 14 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა.

გუგული მაისურაძე წლების მანძილზე აფინანსებდა მაისურაძეთა მრავალ ღონისძიებას, მათ შორის ქ. ქუთაისში „მწვანეყვავილას“ პანთეონში რეკორსტრუქცია გაუკეთდა პირველი ქართველი აკადემისტი მხატვრის გრიგოლ მაისურაძის საფლავს;

ბატონი გუგული ასევე აფინანსებდა გაზეთ „მაისურაძეს“, ეკლესიების მშენებლობებს და ა. შ.

**ბატონო გუგული!**

**კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადებიდან 91 და ენერგეტიკის დარგში მუშაობის 45 წელს, გისურვებთ მშვიდობიან ცხოვრებას, ჯანმრთელობას და ბედნიერებას თქვენს საყვარელ ოჯახთან და შთამომავლობასთან ერთად!**

**დიდი მადლობა თქვენ, საქართველოსთვის თავდადებული და უმწიკვლო მრავალწლიანი შრომისთვის.**

**მხნედ, 91 წლის ბერმუხავ!**

**საუკუნოვან იუბილემდე მხოლოდ 9 წელი დარჩა!**

**გფარავდეთ ღმერთი!**

**მაისურაძეთა საგვარეულო კავშირი**

# „შავი არქეოლოგიის“ და ვანდალიზმის ფაქტები აფხაზეთში!

**ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა მიტოვებულია, ზოგჯერ ვანდალიზმის ფაქტები ხდება! – ამის შესახებ „მოძრაობა კულტურული მემკვიდრეობისთვის“ წარმომადგენელმა ირაკლი მამალაძემ მედიაჰოლდინგ „კვირას“ პრესკლუბში სტუმრობისას განაცხადა.**

მისი თქმით, ორგანიზაციის აქტივისტმა აფხაზეთის ტერიტორიაზე ოცამდე ძეგლი გადაიღო. როგორც მამალაძემ აღნიშნა, მდგომარეობა სავალალო, უმძიმესია.

„დღეს ძალიან მძიმე დღეა, სოხუმის დაცემის დღე. ამ დღიდან 31 წელი გავიდა. ჩვენმა ორგანიზაციამ „მოძრაობა კულტურული მემკვიდრეობისთვის – საყდრისის კომიტეტმა“ გასულ წელს აფხაზეთში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესწავლა, დასურათება დაიწყო იმ მიზნით, რომ გაგვეგო, თუ რა მდგომარეობაა ამ დროისთვის იქ არსებულ ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობაზე. ამ პროექტის ფარგლებში ჩვენმა აქტივისტმა აფხაზეთის ტერიტორიაზე, სოხუმში, გაგრაში, ოჩამჩირეში, სხვადასხვა რაიონში, მათ შორის გალის რაიონში ოცამდე ძეგლი გადაიღო. რა თქმა უნდა, მდგომარეობა სავალალო, უმძიმესია. ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა მიტოვებულია, ზოგჯერ ბედის ანაბარად, ზოგჯერ ვანდალიზმის ფაქტები ხდება... იცით, რომ არაერთი ტაძარი თეთრად, რუსულ ყაიდაზე გადაიღება, ფაქტობრივად, ქართული კვალი წაშლილია. ასევე არსებობს ტაძრები, ძეგლები, სადაც ქართული წარწერები არსებობდა და ამ კვალის წაშლა მიზანმიმართულად მოხდა.

კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაა იმ თვალსაზრისით, რომ რამდენიმე ტაძარზე, რომელიც, თითქოს, გადარჩენილია, თავისი ავთენტური იერსახე შენარჩუნებული აქვს (**მოქვის მონასტერი, ბედიის ტაძარი**), გაურკვეველი სარემონტო სამუშაოებია დაწყებული, ხარაჩოებია, თითქოს რაღაც მომენტს ელოდებიან, რაღაც მითითებას, რომ იქაც, ძეგლზე უხეში ჩარევა დაიწყოს, მისი გადაღებვა, ან უბრალოდ კვალის წაშლა მოხდეს. ამ მხრივ მძიმე მდგომარეობა დაგვხვდა **დრანდის მეექვსე საუკუნის ტაძარში,** რომელსაც ჩვენი ისტორიკოსები და არქეოლოგები ჯვრის მონასტერს ადარებდნენ, ამბობდნენ, რომ ერთგვარად ჯვრის მონასტრის ვარიაცია იყო. იქაც უხეში ჩარევა, ამ ძეგლის რაღაც დონეზე გადაღებვა მოხდა. ბოლო ვანდალიზმის ფაქტი ოჩამჩირის რაიონში მოხდა. იყო „შავი არქეოლოგია“, გადაითხარა ტერიტორია, კერძოდ **მერკულის ნაქალაქარი“** – განაცხადა ირაკლი მამალაძემ.

თუ ნაბიჯები არ გადაიდგა, საბოლოოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე რამდენიმე ძეგლი განადგურდება.

**„ჩვენი კვლევა ძალიან საინტერესოა, ის არაერთ ორგანიზაციას მივაწოდეთ, სახელმწიფო ორგანიზაციებს, პრეზიდენტის ადმინისტრაციას, თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით საგნობრივი მსჯელობა არ ყოფილა. ჩვენ ჰუმანიტარული მიზანი გვქონდა. დნესტრისპირეთში შესაძლებელი გახდა, გაეროს და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ჩართულობით კოშკი გადარჩენილიყო, პროცესში მონაწილეობა კონფლიქტის ორივე მხარემ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა მიიღეს. იგივე შეიძლებოდა, განხორციელებულიყო აფხაზეთის ტერიტორიაზე, ამ პროცესში ყველა მხარე ჩართულიყო, აღდგენილიყო რომელიმე ძეგლი, რომელიც ყველაზე სავალალო მდგომარეობაშია. ეს იქნებოდა ძალიან მნიშვნელოვანი. ეს ხომ მხოლოდ ქართული საგანძური არ არის, ეს ყველას ეკუთვნის, მისი გადარჩენა ყველას ევალება. ველოდებით, რომ ამ კუთხით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგმება“.**



ბედიის ტაძარი



დრანდის ტაძარი



მოქვის მონასტერი

◎ თაობა

# ოქროც იქნება

**საქართველოს 20-წლამდელ ძალოსანთა ნაკრებმა ლეონში (ესპანეთი) გამართულ იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლა ღირსეული მონაგარით დაასრულა. ჩვენმა გუნდმა, რომელიც წლის უმთავრეს ასპარეზობაზე გოგონათა და ვაჟთა ნაკრებებით წარსდგა, ატაცში, აკვრასა და ორჭიდის ჯამში 5 მედალი მოიპოვა.**

შედეგიანად გამოვიდა **მარიამ მურღვლიანი** (87 კგ). გოგონათა ნაკრების წარმომადგენელმა ატაცში 105 კილოგრამი დაძლია, რამაც მას ვერცხლის მედალი მოუტანა. 125 კილოგრამი დაიმორჩილა აკვრაში, რაც მეოთხე ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი, მაგრამ ორჭიდის ჯამში დაგროვებული 230 კილოგრამით ბრინჯაოს მედლამდე დაწინაურდა.

ორჭიდის ჯამში ასევე ბრინჯაოს მედალი ერგო **გურამ ვეკუას** (109 კგ). მომავალ მედალოსანს ატაცში დაძლეული 162 კილოგრამით მეოთხე შედეგი ჰქონდა. გაცილებით უკეთ გამოვიდა აკვრაში, სადაც დამორჩილებული 200 კილოგრამით ვერცხლის მედალი ერგო, ორჭიდის ჯამში დაგროვებული 362 კილოგრამით კი კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდა.

რაც შეეხება ჩვენი გუნდის კიდევ ერთ წევრს **გოგა ჯაჯვანს** (81 კგ), მან ატაცში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.




◎ პატივი

# ელიტას ენდობა




**ნიკა ამაშუკელის მიერ განსჯილ ელიტურ ტურნირებს კიდევ ერთი შეემატა. ამჯერად რაგბის ქართველმა რეფერიმ „ბლედისლოუს თასზე" იმსაჯა. ის ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის თამაშზე მთავარი არბიტრი იყო.**

აღნიშნული შეხვედრა ახალი ზელანდიის გამარჯვებით – 33:13 დასრულდა და თასიც შეინარჩუნა. თამაშში 6 ლელო გავიდა, რომელთაგანაც „ვოლაბების" ანგარიშზე მხოლოდ 1 იყო.

რაც შეეხება რაგბი ჩემპიონშიპს, გამარჯვებულის ვინაობა სამხრეთ აფრიკისა და არგენტინის მატჩში გაირკვევა.

## ◎ საფეხბურთო მოზაიკა

**ფუტბოლ 365-მა ვრცელი სტატია მიუძღვნა იმ ახალგაზრდა ფეხბურთელებს, რომლებიც კლუბებს ამჟამად იჯარით ჰყავთ გაშვებული და მათზე მომავალში დიდ იმედებს ამყარებენ.**

გასაკვირი არაა, რომ სიაში ლივერპულის ქართველი მეკარე **გიორგი მამარდაშვილიც** მოხვდა, რომელიც მიმდინარე სეზონსაც ვალენსიას ლიდერად ატარებს.



**„უცნაურია იმაზე საუბარი, რომ ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ტალანტზე, რომელიც 30 წელზე მეტი ასაკის გამოცდილ მოთამაშედ გამოიყურება, სინამდვილეში კი მხოლოდ 23 წლისაა. ის მსოფლიოს საუკეთესო ახალგაზრდა მეკარეა უდიდესი პოტენციალით, რომ გახდეს თავის პოზიციაზე საერთოდ ნომერი პირველი. ეს ტრანსფერი ლივერპულის გენიალური სვლაა და თავის მხრივ ვალენსიაც ძალზედ კმაყოფილია, რომ ქართველი მხსნელი კიდევ 1 წლით დაიტოვა"** – წერს ფუტბოლ 365.

* * *

**საქართველოს** ნაკრების წამყვანმა ნახევარმცველმა **გიორგი ჩაკვეტაძემ** ინგლისური ჩემპიონშიფის გუნდთან უოტფორდთან ახალი, 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და იგი კლუბის ღირსებას 2029 წლამდე დაიცავს.

**კავკასიელი ლეგიონერი საუცხოო მაგალითია ახალგაზრდა თაობისთვის, რომელსაც სურს, რომ პროფესიონალიზმს ეზიაროს. იგი მუდმივად მოწოდებულია, რომ ჩვენს გუნდს წარმატებების მოპოვებაში დაეხმაროს"** – განაცხადა უოტფორდის მთავარმა მწვრთნელმა **ტომ კლევერლიმ.**

* * *

**პოპულარულ** პორტალ ტრანსფერმარკტზე საქართველოს ნაკრებისა და გერმანიის მეორე ბუნდესლიგის ლიდერ კარლსრუეს ბომბარდირის **ბუდუ ზივზივაძის** ღირებულება გაორმაგდა.

თუ აქამდე 30 წლის შემტევი 900 ათას ევროდ იყო შეფასებული, ამჟამად მისმა კარიერულმა რეკორდმა მილიონ 800 ათასამდე აიწია.

აღსანიშნავია, რომ ჯვაროსანი კლუბში ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშეა. სამშობლოში იგი მე-13 ადგილზეა, მე-2 ბუნდესლიგაში კი – 63-ეზე.

* * *

**საქართველოს** ეროვნული ნაკრებისა და ემპოლის მცველმა **საბა საზონოვმა** ბოლონიაში მარჯვენა მუხლის წინა ჯვარედინ მყესებზე ოპერაცია გაიკეთა. ქირურგიული ჩარევა პროფესორ **სტეფანო ძაფანინის** ხელმძღვანელობით ჩატარდა და მის ავტორთა შეფასებით, ყველაფერი წარმატებით დასრულდა.

ახლო მომავალში ჯვაროსანს რეაბილიტაციის ხანგრძლივი პროცესი ელის, რომელიც, არსებული ინფორმაციით, 5-6 თვეს გასტანს.

შეგახსენებთ, რომ საზონოვი ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის მიწურულს ტორინოდან ემპოლიში გადავიდა და 2-ჯერ იყო სამატჩო განაცხადში, თუმცა დებიუტი ვერ მოასწრო.

* * *

**თაიმზის** ინფორმაციით, მანჩესტერ სიტიმ ინგლისის პრემიერლიგის წინააღმდეგ პირველი სასამართლო მოიგო. შეგახსენებთ, რომ ლიგა ქალაქელებს ჩემპიონატის ფინანსური წესების მრავლობით დარღვევებში ადანაშაულებს.

ცნობაში ნათქვამია, რომ სიტის აღნიშნულ გამარჯვებას პრემიერლიგის ასოცირებულ მხარეებს შორის გარიგებების წესის გადახედვა შეიძლება მოჰყვეს. იგი ითვალისწინებს მკაცრი აუდიტის გავლას იმ შემთხვევებში, როცა კლუბები არასაბაზრო სასპონსორო კონტრაქტებს აფორმებენ იმ კომპანიებთან, რომლებიც ამავე კლუბების მფლობელებთან არიან კავშირში.

ხაზგასმულია, რომ მოცემული წესი არათუ გადახედვას, არამედ გაუქმებასაც კი შეიძლება დაექვემდებაროს. ასეთ შემთხვევაში კლუბებს, მაგალითად – მანჩესტერ სიტის სასპონსორო გარიგებების გაფორმება დამოუკიდებელი გარიგებების გარეშეც შეეძლებათ.

დავძენთ, რომ დასახელებულ საქმეზე სასამართლო განჩინებას შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მთლიანად სიტის 115 ფინანსურ სამართალდარღვევასთან მიმართებით წარმოებულ პროცესში.



* * *

**გამოცემა** ფორ ფორ თუმ ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო სამსაჯო გადაწყვეტილებათა რეიტინგი შეადგინა, რომელშიც ტუნისელი არბიტრის **ბინ ნასერის** მიერ 1986 წლის მუნდიალის მეოთხედფინალში **დიეგო მარადონას** მიერ ინგლისელთა კარში „ღმერთის ხელით" გატანილ და სკანდალურად ჩათვლილ გოლს მხოლოდ მე-3 ადგილი ხვდა წილად.

რაც შეხება „საუკეთესო" ვერდიქტს, ასეთად მიჩნეულია 2006 წლის მუნდიალზე ინგლისელ მსაჯ **გრემ პოლის** მიერ ხორვატეთ-ავსტრალიის (2:2) მატჩში ბალკანელთა მცველ **იოსიპ შიმუნიჩისთვის** ნაჩვენები ერთბაშად 3(!) ყვითელი ბარათი.

◎ ახალი სისხლი

# ოთხი წლით

**ძიუდოს ეროვნულ ფედერაციას ახალი პრეზიდენტი ჰყავს. უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში მას სათავეში ლევან ნოზაძე ჩაუდგება.**

არჩევნები ძიუდოს ფედერაციაში გაიმართა და პროცესში მონაწილეობა მიწვეული 57 დელეგატიდან ადგილზე მყოფმა 45-მა ხმის მიცემის უფლების მქონე სუბიექტმა მიიღო.

თითოეულმა მათგანმა ერთადერთ კანდიდატს დაუჭირა მხარი, ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა კი თავის მხრივ ვიცე-პრეზიდენტები წარადგინა.

პირველი ვიცე-პრეზიდენტი კვლავ **დავით ქევხიშვილი** იქნება, ხოლო მეორე – უკვე ყოფილი პრეზიდენტი **გიორგი ათაბეგაშვილი.** გენერალური მდივნის თანამდებობას კი **ირინე გულიაშვილი** დაიკავებს.

აირჩიეს საპატიო პრეზიდენტიც, რომელიც **სლავა შერაზადიშვილი** იქნება. დამტკიცდა აღმასკომიც.



◎ წავიდა

# ტრავმებით გატანჯული

**ჩიკაგოს, ნიუ იორკის, კლივლენდის, მინესოტას, დეტროიტისა და მემფისის ვარსკვლავმა დერიკ როუზმა 35 წლის ასაკში კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა.**

მან ნბა-ში 723 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 17 ქულასა და 5 პასს აგროვებდა.

მომავალი ლეგენდა 2008 წლის დრაფტზე ხარებმა პირველ ნომრად აირჩიეს და სეზონი საუკეთესო დებიუტანტის პრიზით დაასრულა, ხოლო 2011-ში რეგულარული მარათონის MVP-ის ტიტული მოიგო და 22 წლისა ლიგის ისტორიაში აღნიშნული პრესტიჟული ჯილდოს ყველაზე ახალგაზრდა მფლობელი გახდა. მის კოლექციას აშშ-ს ნაკრების მაისურით მოხვეჭილი 2010 და 2014 წლების მსოფლიო ჩემპიონატების ოქროც ამშვენებს. ფანტასტიკური კარიერა ელოდა, მაგრამ ყველაფერი 2012 წელს მიღებულმა უმძიმესმა ტრავმამ შეცვალა, რის გამოც მას მთელი სეზონი გაუცდა. აქედან მოყოლებული, დერიკი ლაზარეთს სისტემატურად სტუმრობდა და ტკივილები ტანჯავდა.





# დიდ ჯიხაიშში „ნიკოობა" აღინიშნა




**ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმმა სტუმრებს 28 სექტემბერს უმასპინძლა.**

ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 181 წელი „სამტრედიობა 2024“-ის ფარგლებში იზეიმეს. სახალხო დღესასწაულს დიდ ჯიხაიშში, სტუმრებთან ერთად, ადგილობრივები და ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მუზეუმის ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტის მერიის ერთობლივი ორგანიზებით, სხვადასხვა სახის ღონისძიებები მთელი დღის მანძილზე მიმდინარეობდა. გაიმართა დიდი ჯიხაიშის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა კონფერენცია, რომლებმაც წარმოადგინეს პრეზენტაციები თემაზე – ,,ნიკო ნიკოლაძის მრავალმხრივი მოღვაწეობა“.

ნიკოლაძეების მამულში სოფლის მკვიდრის, მხატვარ გიორგი მეშველიანის ნამუშევრების გამოფენა მოეწყო, რომელიც ტრადიციულად თემატური ნამუშევრები წარმოადგინა და დამთვალიერებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. დღესვე ადგილობრივმა პოეტმა ნანა ჩიკვილაძემ ნიკოსეული ნივთი – მტრედის ფორმის სასანთლე უსახსოვრა მუზეუმს.

ნიკოობის დღესასწაულზე შეკრებილი საზოგადოების წინაშე წარდგა დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის მოსწავლეთა გუნდი „აისი“.

გაიმართა მუსიკალური გაერთიანება „კლასიკური ჰანგების“ კონცერტი – ანა ლომიაშვილმა, ირინა ვაშაკიძემ დავით პეტრიაშვილმა, ირაკლი აბაშიძემ, ვიქტორია სურმავამ, ია სილაგავამ, მარიანა კირაკოზოვმა წარმოადგინეს ქართული და ევროპული კლასიკური რომანსი და კინომუსიკა.

# მკვლელობა საბურთალოს ქუჩაზე



**მამაკაცი, რომელიც 27 სექტემბერს, ღამით საბურთალოს ქუჩაზე დაჭრეს, გარდაიცვალა.**

ფაქტზე გამოძიება 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

მამაკაცის დაჭრის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ ერთი პირი ცხელ კვალზე აიყვანა.

თვითმხილველების თქმით, ახალგაზრდა მამაკაცს სხეულის არეში რამდენიმე ჭრილობა ჰქონდა მიყენებული.

მოკლული 23 წლის გიორგი საყურაშვილია. ის გლდანში ცხოვრობდა. ბიჭის ახლობლები ყვებიან, რომ ის უკონფლიქტო და ძალიან კარგი პიროვნება იყო.

* * *

**საქართველოს პროკურატურამ თბილისში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 27 სექტემბერს, თბილისში, ჭაბუკიანის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკებისას ბრალდებულმა დაზარალებულს, დანით გულმკერდის არეში ჭრილობები მიაყენა. მიყენებული დაზიანების შედეგად დაზარალებული საავადმყოფოში გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა, ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

# ჰეზბოლას ლიდერი ჰასან ნასრალა მოკლეს!

**ისრაელის არმიამ ლიბანის დედაქალაქ ბეირუთზე საჰაერო იერიშის შედეგად დაჯგუფება „ჰეზბოლას“ ლიდერი ჰასან ნასრალა მოკლა. ინფორმაციას ისრაელის თავდაცვის არმია („ცაჰალი“) სოციალურ ქსელ X-ში ავრცელებს.**



„ჰასან ნასრალა მსოფლიოს დატერორებას ვეღარ შეძლებს“, – წერს ისრაელის თავდაცვის არმია. სხვა დამატებითი დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ბეირუთზე საჰაერო იერიში 27 ოქტომბრის საღამოს მიიტანა. როგორც მოგვიანებით აღინიშნა, იერიშის მთავარი სამიზნე „ჰეზბოლას“ მთავარი შტაბი იყო. დღეს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბეირუთზე ავიაიერიშს ჰასან ნასრალას ქალიშვილი ზეინაბ ნასრალაც ემსხვერპლა.

# გარყვნილი რეპერი გამოიჭირეს!

## ვინ არის Puff Daddy და რას ედავება პროკურატურა მას?

**16 სექტემბერს ნიუ-იორკში ამერიკული ჰიპ-ჰოპ ინდუსტრიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმომადგენელი, 54 წლის პროდიუსერი და რეპერი შონ კომბსი (იგივე Puff Daddy, P. Diddy, Diddy, Diddy - Dirty Money) დააკავეს. მუსიკოსს სექს ტრეფიკინგი, პროსტიტუციისთვის ხელის შეწყობა და რეკეტი ედება ბრალად.**

ადვოკატებმა რეპერის 50 მილიონი დოლარის ოდენობის გირაოთი გამოყვანა სცადეს, თუმცა 18 სექტემბერს სასამართლომ შუამავლობა არ დააკმაყოფილა და კომბსი ბრუკლინის წინასწარი დაკავების ცენტრში გადაიყვანეს.

პროკურატურის მტკიცებით, კომბსი თავის მუსიკალურ იმპერიას ქალების ექსპლუატაციისთვის, ე.წ. freak off წვეულებების (მრავალდღიანი სექსუალური ღონისძიება, დიდი ოდენობის ნარკოტიკების მოხმარებითა და რიგ შემთხვევაში სექსის იძულებით) ორგანიზებისთვის იყენებდა. სხვადასხვა ცნობებით საღამოები მოიცავდა რთულ სექსუალურ პერფორმანსებს, რომლებიც ზოგჯერ სასწრაფო სამედიცინო დახმარების გაწევით რჩებოდა...

# გიორგი ამილახვარმა განათლების მინისტრის თანამდებობა დატოვა

**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გიორგი ამილახვარმა თანამდებობა დატოვა.**

ამის შესახებ მან სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

ცნობისთვის, გიორგი ამილახვარი განათლების მინისტრის თანამდებობაზე გასული წლის მარტში დაინიშნა.


# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანის“ მიერ მეტალურგიული (არმატურის წარმოება) ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტი

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 7 ნოემბერი, 13:00 საათი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. აღთაკლიის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 22 ნოემბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 19 სექტემბერი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

**სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „ღუნჯა ჰესის“ მიერ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 5.5 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ღუნჯა ჰესის“ მშენებლობა-ექსპლუატაციის და 35 კვ ძაბვის ეგხ-ის გაყვანის პროექტი**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 15 ოქტომბერი, 16:00 საათი, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მუხურის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 20 სექტემბერი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას.



# ნიუ-იორკში ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია გაიმართა

**ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo&Partners" ორგანიზებით, ქალაქ ნიუ-იორკში გამართულ ქართული ღვინის მასშტაბურ წარდგენას 400-მდე ღვინის პროფესიონალი, მედიის და კომერციული სექტორის წარმომადგენელი დაესწრო.**

ღონისძიება მოიცავდა დეგუსტაციასა და მასტერკლასს, სადაც სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ, დაეგემოვნებინათ 30-ზე მეტი ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიის სხვადასხვა დასახელების ღვინო, მიეღოთ ინფორმაცია ქართული ღვინის ისტორიის, კულტურის და თანამედროვე განვითარებული ინდუსტრიის შესახებ. მსგავსი ფორმატის ღონისძიებები ხელს უწყობს ქართული ღვინის ცნობადობისა და გაყიდვების ზრდას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამერიკის შეერთებული შტატები ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზარს წარმოადგენს, სადაც 2013 წლის შემდეგ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით განხორციელებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო აშშ-ში ქართული ღვინის პოპულარიზაციას. მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოდან აშშ-ში ექსპორტირებულია 900 ათას ლიტრამდე ღვინო, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 66%-ით აღემატება.

# ლესია უკრაინკას განახლებული მუზეუმ-ბიბლიოთეკა სურამში

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, დაბა სურამში ლესია უკრაინკას სახელობის მუზეუმ-ბიბლიოთეკის ბოლო ეტაპის სარესტავრაციო სამუშაოები მთავრდება.**

ეროვნული სააგენტოს ინფორმაციითვე, არქიტექტორ-რესტავრატორებისა და კონსტრუქტორების ზედამხედველობით, ამ დროისათვის სარდაფში სამღებრო სამუშაოები მიმდინარეობს; მთავრდება მუზეუმ-ბიბლიოთეკის ტერიტორიის კეთილმოწყობა.



ლესია უკრაინკას სახელობის მუზეუმ-ბიბლიოთეკას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 2019 წელს მიენიჭა და ვინაიდან შენობა მძიმე ავარიულ მდგომარეობაში იყო, იმავე წელს შესყიდული იქნა ძეგლის რეკონსტრუქციის პროექტი. ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ შენობის შენარჩუნება შეუძლებელი იყო და ძეგლი უნდა დაშლილიყო აღდგენის მეთოდით. ძეგლის რეკონსტრუქცია 2020 წლიდან დაიწყო.

სააგენტოს მიერ ძეგლის რეკონსტრუქციისთვის გამოყოფილია 1 969 425 ლარი.

ცნობილი უკრაინელი პოეტისა და მწერლის ლესია უკრაინკას (ლარისა კოსაჩი) სახელობის მუზეუმ-ბიბლიოთეკა 1952 წელს გაიხსნა. აქ დაცულია მწერლის შემოქმედებასთან დაკავშირებული მასალები: პოეტის კრებულები, ხელნაწერები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, ნუმიზმატიკური, ფოტო და ეთნოგრაფიული მასალა", – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# „ჰელენი" აბობოქრდა

**სტიქიას ებრძვიან ამერიკაში – ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში ქარიშხალ „ჰელენისგან" გამოწვეულ ძლიერ ქარსა და კოკისპირულ წვიმას, სულ მცირე, 64 ადამიანი ემსხვერპლა.**

წყალდიდობამ და ტორნადომ შეერთებულ შტატებს, სავარაუდოდ, მილიარდობით დოლარის ზარალი მიაყენა. დანგრეულია ცენტრალური უბნები, გზატკეცილები და სახლები.

სტიქიის გამო ელექტროენერგიის გარეშე დარჩა 3 მილიონზე მეტი ადამიანი.



# კახეთის მხსნელი გმირები

**1 ოქტომბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს წმიდა მოწამეების: ბიძინა ჩოლოყაშვილს, ქსნის ერისთავების – შალვას და ელიზბარს.**

ეს ქართველი ვაჟკაცები ეწამნენ ქრისტიანობისთვის.

უფალმა მხნე რაინდს ბიძინა ჩოლოყაშვილს კეთილი განზრახვა შთააგონა – მან არაგვისა და ქსნის ერისთავებთან ერთად თავს იდვა თათართაგან კახეთის განთავისუფლება.

...ბიძინა კარგად ხედავდა ქართველთა შესაძლებლობებს, მაგრამ ღვთის ნებას მინდობილს და სამშობლოს გამოხსნის აუცილებლობაში დარწმუნებულს, სჯეროდა გამარჯვებისა!

...უმთვარო ღამეს ისინი მომხდურ თათრებს მოულოდნელად თავს დაესხნენ ბახტრიონზე.



ალავერდობაზე (დღესასწაულზე) ქართველები ყიზილბაშებს მიუხდნენ ალავერდში და გაანადგურეს ისინი; თავისუფლად ამოისუნთქა კახეთმა. უზომოდ გახარებული თავს ევლებოდა თავის ერთგულ შვილებს, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელდა სამშობლოს მხსნელი გმირების ნეტარება...

ქართველი დიდებულები პატივით ისტუმრა ცბიერმა შაჰმა – ანადირა, ანადიმა ისინი, შემდეგ სარწმუნოების გამოცვლა მოსთხოვა მათ. მაგრამ ვერ მოიხიბლნენ დაპირებით ქრისტეს ერთგული მსახურები, მაშინ შაჰის ბრძანებით გმირები შეიპყრეს, სასტიკად აწამეს. ქრისტესთვის წამებულნი კი ერთმანეთს ამხნევებდნენ, ტანჯვას ითმენდნენ და უფალს განმტკიცებას ევერებოდნენ...

კახეთის მხსნელი გმირები, წმიდა მოწამენი ქრისტიანებმა ფარულად დაკრძალეს, შემდეგ კი პატივით და დიდებით გადაასვენეს იკორთის მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარში.

**გიული ლიპარტია**



# დაუვიწყარი პრეზენტაცია დანიაში

**ქართული კულტურის დღეების ფარგლებში დანიის სამეფო ბიბლიოთეკაში შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" აფორიზმების პირველი დანიური თარგმანის პრეზენტაცია, გიორგი სისაურის კალიგრაფიის ხელოვნების მასტერკლასის თანხლებით, გაიმართა.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე კობა ხუბუნაია, დანიის სამეფოში საქართველოს საელჩოს, ქართული დიასპორის წარმომადგენლები და ევროპელი სტუმრები ესწრებოდნენ.

პრეზენტაციას დანიის სამეფოსა და ისლანდიაში საქართველოს ელჩი ნატა მენაბდე უძღვებოდა.

ღონისძიებამ ქართული ისტორიისა და კულტურის მიმართ დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

ქართული კულტურის დღეები ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის კულტურული ურთიერთობის გაღრმავებას, ევროპელი ხალხისა და იქ მცხოვრები ქართველებისათვის ქართული კულტურისა და ტრადიციების გაცნობას.

შეგახსენებთ: 2023 წლის 4 მაისიდან 20 აგვისტომდე საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით და ლუიზიანას მუზეუმთან თანამშრომლობით დანიაში, ლუიზიანას თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრების გამოფენა გაიმართა. დაინტერესებულმა საზოგადოებამ ფიროსმანის 48 ნამუშევარი ნახა. ეს იყო პირველი და ისტორიული შემთხვევა, როდესაც ევროპის ერთ-ერთ პრესტიჟულ მუზეუმში ფიროსმანის შემოქმედება ასე მასშტაბურად წარმოადგინეს. ლუიზიანას მუზეუმის დირექტორის პოლ ერიკ ტონიერის თქმით, ფიროსმანის გამოფენას 260 000 დამთვალიერებელი ეწვია და სტუმართა ამ რაოდენობამ ყველას მოლოდინს გადააჭარბა.

ქართული კულტურის დღეების ღონისძიებებზე დასწრება უფასოა".

# დამსჯელი თეთრი საქორწილო კაბები, ლურჯი ჯინსი ან სათვალე...

**ჩრდილოეთ კორეაში** კიმ ჩენ ინის რეჟიმმა 11-დან 16-მდე გაზარდა იმ დანაშაულთა სია, რომლის ჩადენის გამოც ადამიანებს სიკვდილით დასჯიან. მათ შორისაა ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდა და აგიტაცია, იარაღის უკანონო წარმოება და უკანონო გამოყენება.

2020 წელს მიღებულ იქნა კანონი, რომლის მიხედვითაც სამხრეთ კორეული მედიის მოხმარება და გავრცელება სიკვდილით ისჯება მისი „რეაქციული" და „კონტრრევოლუციური" ასოციაციების გამო.

სხვა „რეაქციული" ქცევები, რომლებიც დასჯადია, მოიცავს საზღვარგარეთულ მოდას, როგორიცაა თეთრი საქორწილო კაბები, ლურჯი ჯინსი ან სათვალე. წერილობით კომუნიკაციებში ასევე აკრძალულია სამხრეთკორეული ჟარგონების გამოყენება.

**უცხოური ვალუტის კურსი:**

**აშშ დოლარი - 2.7297; ევრო - 3.0480;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6551;**
**100 რუბლი - 2.9399; თურქული ლირა - 0.0799;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6053;**
**1000 სომხური დრამი - 7.0508.**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე,
აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 2 ოქტომბერს**